ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## თამარ სანიკიძე: მასწავლებლის ხელფასი სხვადასხვა დონეზე საგრძნობლად მოიმატებს“

გვ.7

ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 2015

1199 (6819)

აფცბ5 №) სტსჰბ

# ნატოს სასწავლო ცენტრიდან სამხედრო ბაზამდე ერთი ნაბიჯია




რას უნდა ველოდოთ სტოლტენბერგის თბილისში ვიზიტისგან

— გვ. 3 —





## სკანდალური დოკუმენტი — რევაზ არველაძემ არჩევნები უკვე მოიგო?!

გვ.5




ფეხბუhთში მhავალჯეh ნახსენები ‘ყველაზე ჯაhგი დაცვა თავდასხმაა~ hევაზ აhველაძემ საჯუთაh თაhგზე მოჭhა და... თუ hამე სასწაული აh მოხდა, ალბათ, აhჩევნებსაც ამით მოიგებს

## ნაცმოძრაობა ქონებას ყიდის

გვ.2



მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილმა გაჩერების სანაცვლოდ მილიონი შემომთავაზა“



ISSN 1987-9385

## მინისტრის ოთხსულიანი ოჯახი თვეში რამდენს ხარჯავს და უბრალო ადამიანის ოთხსულიანი ოჯახი — რამდენს?

რამდენია საჭირო საარსებო მინიმუმისთვის

გვ.6



## კონსტიტუციის დღე უქმედ გამოცხადდება?

გვ.4



# ნაცმოძრაობა ქონებას ყიდის

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილმა გაჩერების სანაცვლოდ მილიონი შემომთავაზა“

მარიამ მჭედლიშვილი





**შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ბოლოდროინდელი განცხადებები იმის შესახებ, თითქოს სააკაშვილმა საქართველოს თავი დაანება? რა ხდება სინამდვილეში? ვინ ავრცელებს დეზინფორმაციას? ვის აფინანსებს სააკაშვილი საქართველოში?**

სააკაშვილს საქართველო ერთი დღითაც არ მიუტოვებია. ის ერევა ყველა გეგმაში, რომლებსაც ნაცმოძრაობის წევრები ახორციელებენ. ის აპირებს ხელისუფლებაში მობრუნებას. გარდა ამისა, ის ყოველთვე 5 თუ 6 მილიონით აფინანსებს სამ სუბიექტს. ეს ციფრები ზუსტია




სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობა არ შეუწყვეტიათ, ხალხს ამას უმალავენ. უფრო სწორად, ისე ფუთავენ ყველაფერს, რომ საზოგადოების 99 პროცენტი დარწმუნებულია, თითქოს სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობის მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა. სინამდვილეში, მსგავსი არაფერი მომხდარა. ამას მაქსიმალურად ჭიმავენ

ვის მოსყიდვას ცდილობს? რატომ იგეგმება საპროტესტო აქციები იუსტიციის სამინისტროსთან? რა განზრახვები არსებობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ქონებასთან დაკავშირებით? რა ეჭვებს აჩენს პარტიების ბოიკოტი? „ახალი თაობა“ ამ თემებზე ესაუბრა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფილ თავმჯდომარესა და დამფუძნებელს მირიან მირიანაშვილს.

***— ბოლო დროს პოლიტიკოსები და ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს თავი დაანება და რომ იგი დაწინაურებას ელის უკრაინაში. თქვენ კვლავინდებურად ამტკიცებთ, რომ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მობრუნებას აპირებს?***

— აზრი არ შემიცვლია. ჩემი მოსაზრება ფაქტებს და ინფორმაციას ემყარება. ეს ფაქტები ფართოვდება. მარტო მისი მოქალაქეობის თემაც მრავლისმეტყველია.

***— გინდათ თქვათ, რომ სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობა არ შეუწყვეტიათ?***

— სწორედ ამის თქმა მინდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ხალხს ამას უმალავენ. უფრო სწორად, ისე ფუთავენ ყველაფერს, რომ საზოგადოების 99 პროცენტი დარწმუნებულია, თითქოს სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობის მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა. სინამდვილეში, მსგავსი არაფერი მომხდარა. ამას მაქსიმალურად ჭიმავენ.

***— ვის არ აწყობს, რომ სააკაშვილს მოქალაქეობა შეუწყდეს?***

— პირველ რიგში, თვითონ მას და მის თანაპარტიელებს.

***— იმიტომ, რომ მოქალაქეობის არმქონე პირი ვეღარ იქნება პარტიის თავმჯდომარე?***

— არა მარტო თავმჯდომარე, არამოქალაქე პარტიის წევრიც ვერ იქნება. საშემოდგომოდ ნაციონალებს დიდი ჩანაფიქრი აქვთ. ისინი საბაბს ეძებენ იმისათვის, რომ საპროტესტო აქციები გაშალონ ქვეყნის მასშტაბით. ასეთ სიტუაციაში მათ ჰაერივით სჭირდებათ, რომ თავმჯდომარე ჰყავდეთ.

***— თავმჯდომარის გადარჩევას ვერ მოახერხებენ?***

— ეს ასეთი მარტივი არ არის. მოგეხსენებათ, ამ პარტიის დამფუძნებელი და მისი წესდების ავტორიც ვარ. წესდების თანახმად, პარტიის პოლიტსაბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას პარტიის თავმჯდომარის ხელმოწერის გარეშე. პოლიტსაბჭო ასეთი ხელმოწერის გარეშე ყრილობასაც ვერ მოიწვევს, რომელმაც სხვა თავმჯდომარე უნდა აირჩიოს.

სხვათა შორის, როცა სააკაშვილმა ეს პარტია გაყალბებით ჩაიგდო ხელში, ერთი რამ საერთოდ გამორჩა, ესაა ძველი თავმჯდომარის გადარჩევა. ეს ფალსიფიცირებულადაც კი არ გაუკეთებიათ. პარტიის საქმიანობა ისედაც არალეგიტიმურია. თუ მას თავმჯდომარესთან დაკავშირებული ახალი პრობლემები დაემატა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდება სამართლებრივ კრიზისში. ამიტომ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაიჭიმოს სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის პროცედურა.

***— ხელისუფლება რაღას აკეთებს?***

— საერთოდ, ხელისუფლება უმოქმედოდაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე შემიძლია ვთქვა, რომ ნაცმოძრაობას სერიოზული ლობი ჰყავს იუსტიციის სამინისტროში. მათი ოფიციალური პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთია — ისინი ელოდებიან პასუხს უკრაინიდან. იუსტიციის სამინისტროში ირწმუნებიან, თითქოს ქართულმა მხარემ უკრაინაში გაგზავნა შეტყობინება, რაზეც პასუხია აუცილებელი.

***— სინამდვილეში ასე არ არის?***

— ასეთი განცხადებები არის ბლეფი. უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულია 2015 წლის 30 მაისის ბრძანებულება 301215. ამ ბრძანებულებით მიხეილ სააკაშვილს მიენიჭა უკრაინის მოქალაქეობა. ესაა სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ მას ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა. ამას არ სჭირდება არანაირი მიმოწერა. საქმე ისაა, რომ უნდათ, როგორმე გააჭიანურონ ეს პროცესი. მეოთხე თვეა, ეს დავიდარაბა გრძელდება.

***— როდემდე გააჭიანურებენ?***

— სადამდეც შეძლებენ. თუ უახლოეს ხანში არაფერი შეიცვალა, მე და ჩემი თანამოაზრეები იუსტიციის სამინისტროსთან საპროტესტო აქციებს გავმართავთ. ჩვენ სააკაშვილთან და მის მომხრეებთან სამართლებრივი დავა გვაქვს და ეს უკანონობა კიდევ ერთ ზიანს გვაყენებს. სხვათა შორის, სააკაშვილის მოქალაქეობის რაღაც გადით შენარჩუნებისთვის სხვა გეგმაც არსებობს. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სერვისების სააგენტო ამ საკითხის გადასაწყვეტად პრეზიდენტს თუ მიაკითხავს, მაშინაც გაჭიანურდება პროცესი.

***— ეს თქვენი ვარაუდია?***

— ეს ვარაუდი კი არა, ინფორმაციაა. ინფორმირებული ვარ, რომ ეს პროცედურა პრეზიდენტმაც უნდა გაჭიმოს. საბოლოოდ, დაგეგმილია სააკაშვილისათვის ორმაგი მოქალაქეობის მიცემა მისი დამსახურებებისათვის. აი, ასეთ ტრაგიკომიკურ გეგმებთან გვაქვს საქმე.

***— ამ ტრაგიკომიკურ სიტუაციაში რა გარანტია გაქვთ, რომ სამართალი აღდგება და პარტია დაგიბრუნდებათ?***

— ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ. მით უმეტეს, რომ უკანონობა მრავლდება. არალეგიტიმურობა სამმაგ ხარისხი ავიდა. ეს მშვენივრად აქვს გაცნობიერებული სააკაშვილს. ის ისევ ცდილობს მომირიგდეს. ბოლო დროს შუამავლის საშუალებით მილიონი შემომთავაზა. იგი მთავაზობს მილიონს გაჩერების სანაცვლოდ. ცხადია, რომ გარიგებაზე არ წავალ.

***— ასეთ სიტუაციაში ნაცმოძრაობას სტაბილურობის განცდა არ უნდა ჰქონდეს?***

— რასაკვირველია. რომელ სტაბილურობაზეა ლაპარაკი, როცა პარტიის ქონების გასხვისება გადაწყვიტეს. პარტიაში უკვე დაიწყო ქონების შეფასება. მერე მაკლერებსაც მოიწვევენ.

***— ნაცმოძრაობა ქონებას ყიდის?***

— მათ ლიდერებს გადაწყვეტილი აქვთ, ფიქტიურად გაყიდონ ქონება. მყიდველები მათი მომხრეები იქნებიან, რომლებიც შემდეგ ამ ქონებას პარტიას იჯარით გადასცემენ. ამით თავის დაზღვევა უნდათ. მე რომ სასამართლოში დავიწყო პარტიაზე დავა, ამ ქონებას მაშინვე დააყადაღებენ. ამ სიტუაციაში გამოვალ დაახლოებით ისეთივე მოდავე, როგორიც ქიბარ ხალვაშია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში. საუბედუროდ, ნაცმოძრაობა თავის შავ საქმეებს აგრძელებს. ამას ხელს უწყობს ხელისუფლების უსუსურობა. ხელისუფლება რომ ქმედითი იყოს, ეს მაქინაციები ვერავის გაუვიდოდა. ექსპერტების ნაწილი გვარწმუნებს, რომ სააკაშვილი სულ წავიდა, საქართველოსკენ აღარ იხედება და უკრაინაში იკეთებს კარიერას. რაც მეტად ვისმენ ამ „პროფესიონალების“ ნააზრევს და დეზინფორმაციას, სულ უფრო მეტად მეპარება ეჭვი მათ კეთილსინდისიერებაში. ვრწმუნდები, რომ ისინი სააკაშვილისაგან იკვებებიან. სააკაშვილს საქართველო ერთი დღითაც არ მიუტოვებია. ის ერევა ყველა გეგმაში, რომელსაც ნაცმოძრაობის წევრები ახორციელებენ. ის აპირებს ხელისუფლებაში მობრუნებას. გარდა ამისა, ის ყოველთვე 5 თუ 6 მილიონით აფინანსებს სამ სუბიექტს. ეს ციფრები ზუსტია. უბრალოდ, ის ვერ დავაზუსტე, დოლარშია და ლარში ეს მილიონები.

***— რომელ სამ სუბიექტს აფინანსებს სააკაშვილი?***

— „რუსთავი 2“-ს; ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტ პარტიებს; ასევე საექსპერტო საზოგადოებას.

***— პარტიების დიდი ნაწილი დაირაზმა შუალედური არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოსაცხადებლად.***

— ესეც საყურადღებო მოვლენაა. თავისთავად, ეს შუალედური არჩევნები არაფერს არ წყვეტს. ორი არჩეული დეპუტატი ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში იქნება პარლამენტში და ფაქტობრივად, მარტო საგაზაფხულო სესიას დაესწრება. მთავარია, რომ ესაა ფართომასშტაბიანი ბოიკოტის ორგანიზების პირველი მცდელობა. ამის ორგანიზება რთულია. ყველა პარტიაზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ, მათ შორის არიან საეჭვო რეპუტაციის ძალები. ეს ეჭვებს აჩენს. არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეში ვიღაცის ხელი ურევია. ფაქტია, რომ სააკაშვილისათვის ეს ყველაფერი სახეიროა.

## დავით უსუფაშვილი: ჩვენს კონსტიტუციას ერთი ძალიან დიდი პრობლემა აქვს“



— ჩვენს კონსტიტუციას აქვს ერთი ძალიან დიდი პრობლემა. საქართველოს კონსტიტუცია არ და ვერ მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს პრობლემა ჩვენი საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემაა, ჩვენი კონსტიტუციის პრობლემაა და ეს ჩვენი მოსაგვარებელია და ამ მოგვარებასაც სჭირდება სწორედ დღევანდელი კონსტიტუციის მიერ დადგენილი სტანდარტების განუხრელი შესრულება, დღევანდელი კონსტიტუციით განსაზღვრული ტიპის სახელმწიფოს შექმნა.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ქართული, ევროპული, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო, — განაცხადა უსუფაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნატოს სასწავლო ცენტრიდან სამხედრო ბაზამდე ერთი ნაბიჯია

ნონა ცაბაძე



## რას უნდა ველოდოთ სტოლტენბერგის თბილისში ვიზიტისგან






**27 აგვისტოს საქართველოში ნატო-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ვიზიტია დაგეგმილი.**

თბილისში ნატოს სასწავლო ცენტრი იხსნება. თავდაცვის მინისტრი, თინა ხიდაშელი აღნიშნული ცენტრის გახსნას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევს.

სპეციალისტები და ექსპერტები ამ სიახლის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრობენ. ეს არის სიახლე, რომელიც ერთდროულად დადებითი შედეგის მომტანიცაა და უარყოფითისაც.

სასწავლო ცენტრის გახსნის შესახებ პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

— 27 აგვისტოს საქართველოში ჩამოდის ნატოს გენერალური მდივანი და ჩვენ ვხსნით სასწავლო ცენტრს. ბევრი სპეკულაცია იყო ამ ცენტრთან დაკავშირებით, თითქოს ეს არის საწვრთნელი ბაზა. სინამდვილეში კი ეს არის სასწავლო ცენტრი ჩვენი ჯარისკაცებისთვის, რომ ჩვენი ჯარისკაცები მოვამზადოთ და მათი მომზადების დონე აიწიოს, რომ ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს. ჩვენ მივესალმებით ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტს საქართველოში.

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე დადებითად აფასებს ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნას.

— არა მგონია, რუსები თბილისში ნატოს სასწავლო ცენტრის გამო შემოვარდნენ, საფრთხე კი მათგან ისედაც არ გვაკლია. ზოგადად რუსეთისგან მაშინ მოდის ყველაზე დიდი აგრესია, როდესაც ის ხედავს, რომ სუსტი და მიტოვებული ხარ ყველასგან. ამ ცენტრის გახსნა კი არის იმის სიგნალი, რომ ჩვენ მიტოვებულები არ ვართ!

ექსპერტი მიიჩნევს, რომ სასწავლო ცენტრის გახსნა აუცილებელია. კარგია, ჩვენი ჯარისკაცები ნატოს სასწავლო ცენტრში რომ გაივლიან სწავლებას. ნატოს აქ ყოფნა კარგი სიგნალია არა მარტო რუსეთისთვის, არამედ სხვებისთვის.

— საქართველოს ისეთი ადგილმდებარეობა აქვს, რომ მისით არამარტო რუსეთი, სხვაც ბევრია დაინტერესებული, — აღნიშნავს ექსპერტი.

შარაშენიძე კმაყოფილია თავდაცვის მინისტრის პოლიტიკით, მის მიერ გადადგმული ნაბიჯებით.

— შედეგი მშვენიერია. ამ ცენტრის გახსნა მის დანიშვნამდე იყო გადაწყვეტილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მან დააჩქარა მისი გახსნა, — თვლის იგი.

ხიდაშელის განცხადებები რუსეთს ხომ არ აღიზიანებს?

ამ კითხვას თორნიკე შარაშენიძე ორიგინალურად პასუხობს:

— ჩვენი მთავრობის ძირითადი ნაწილი რუსეთს არ აღიზიანებს, ცდილობენ, მათი საამებელი განცხადებები აკეთონ და ერთი მაინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, ვინც საკუთარი განცხადებებით რუსეთს გააღიზიანებს. ეტყობა, როლები გადანაწილებული აქვთ.

ყველაფერი ეს ხომ არ გამოიწვევს ახალ აგრესიას რუსეთის მხრიდან?

— მეტი რაღა უნდა ქნან? რკინიგზას აღადგენენ? თუ უნდათ, აღადგინონ! რუსეთი აგრესიულია, მაგრამ თანდათან სუსტდება. რუსეთის ეკონომიკა კატასტროფის პირასაა. ჩვენ გვეძლევა უნიკალური შანსი, რომ რუსეთს გავექცეთ საბოლოოდ. ეს შანსი საქართველომ ხელიდან არ უნდა გაუშვას, — ამბობს ექსპერტი.

მისი აზრით, პირველად 1998 წელს გაგვიჩნდა რუსეთისგან თავის დაღწევის შანსი. სწორედ იმ დროს დაიწყო თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელება, რაც დღეს ჩვენი უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტია. სწორედ ამ პროექტმა განაპირობა ჩვენს რეგიონში დასავლეთის შემოსვლა, ინვესტიციები და ასე შემდეგ. ეს მოხდა მაშინ, როდესაც რუსეთი იყო ძალიან სუსტი. ახლაც შეიძლება იგივე მოხდეს. რუსეთს უმძიმესი მდგომარეობა აქვს და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ ეს მომენტი ხელიდან არ გავუშვათ.

უშიშროების ყოფილი შეფი ირაკლი ბათიაშვილი თვლის, რომ ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა დიდი მიღწევაა, თუმცა ამას რომელიმე კონკრეტული პირის დამსახურებად არ მიიჩნევს:

— ეს რომელიმე კონკრეტული პირის დამსახურება არ არის. ეს არის ხანგრძლივი პოლიტიკის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ 2002-2003 წლებში დაიწყო. მაშინ, ედუარდ შევარდნაძის დროს, დაწყებულ იქნა წვრთნის და აღჭურვის პროგრამა. იმ დროს გახლდით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და პარლამენტიდან ვკურირებდი ამ ძალიან მნიშვნელოვან პროცესს.

ბათიაშვილი იხსენებს, რომ მაშინ, პირველად, დიდი რაოდენობით შემოიყვანეს ამერიკელი ინსტრუქტორები და დაიწყო ჩვენ ჯარის მომზადება ნატოს სტანდარტებით.

ბათიაშვილს მიაჩნია, რომ ეს არის მთელი ამ პროცესის გაგრძელება და რომ სასწავლო ცენტრიდან სამხედრო ბაზამდე ერთი ნაბიჯია.

— მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი კეთდება სასწავლო ცენტრზე, ცენტრიდან სამხედრო ბაზამდე ერთი ნაბიჯია. მე ვგულისხმობ იმ ცენტრს, რომელიც ახლა გაიხსნება ვაზიანში. სასწავლო ცენტრი ასევე შეიძლება იყოს სამხედრო ბაზა და პირიქით. რაც შეეხება დამსახურებებს, ეს ნამდვილად არ არის ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრის დამსახურება, არც ამჟამინდელი პოლიტიკის. ეს პოლიტიკა სწორედ 2002-2003 წლებში დაიწყო. მაშინ საქართველოს გეოპოლიტიკური სიტუაციის ბალანსისათვის სჭირდებოდა ამერიკის მძლავრად შემოყვანა კავკასიის რეგიონში.

ბათიაშვილი უარყოფით მხარეებზეც საუბრობს.

— რუსები არც მალავენ, რომ ამაზე ექნებათ ძალიან მძიმე რეაქცია. ასევე ისლამური სახელმწიფოს ფაქტორია გასათვალისწინებელი, რომელმაც უკვე კავკასიაში თავისი პრეტენზიები გამოაცხადა. ნებისმიერი ასეთი ობიექტი საქართველოში და ზოგადად კავკასიაში ხდება დარტყმის ობიექტი და სამიზნე ისლამური სახელმწიფოსთვის, ისე, როგორც რუსეთისთვის. მე არ ვიცი, ჩვენი ხელისუფლება უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით რამდენად მომზადებულია, — ამბობს ირაკლი ბათიაშვილი.

ის დადებითად აფასებს ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტს საქართველოში. მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის მჭიდრო ურთიერთობა მაღალი დონის ორგანიზაციებთან აუცილებელია. თუმცა საფრთხეები სერიოზულად გასათვალისწინებელია.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ არასასიამოვნოა ის მუქარანარევი განცხადებები, რომლებიც ხშირად ისმის კრემლიდან, თუმცა არ ჰგონია, რომ ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნას რუსეთის მწვავე რეაგირება მოჰყვეს, რადგან ცენტრს არ აქვს სტატუსი სამხედრო ქმედებების განსახორციელებლად.

ექსპერტი თვლის, რომ ქართული მხარე უნდა დაელოდოს ნატოს გენერალური მდივნის ჩამოსვლას საქართველოში და მის განცხადებებს. ცისკარიშვილი დარწმუნებულია, რომ იგი უყურადღებოდ არ დატოვებს რუსეთის ქმედებებს.

— რუსეთის ქმედებები მიუღებელია საერთაშორისო საზოგადოებისთვის და ამას ნატოს გენერალური მდივანი უყურადღებოდ არ დატოვებს. უნდა დაველოდოთ, გააბათილებს თუ არა იგი რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებას, რომელმაც ბრძანა, რომ საქართველო არასოდეს გახდება ნატოს წევრი. თუ ეს გამონათქვამი ყურიდან ყურში გაატარეს ნატოს ლიდერებმა, მაშინ ჩვენ მოგვიწევს საკუთარი როლის და ფუნქციის გაძლიერებაზე ჩვენი ხელისუფლების და საზოგადოების ერთ მონოლითურ ძალად ჩამოყალიბება.

# საგარეო უწყება: საოკუპაციო რეჟიმმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს უკანონო საქმიანობა“




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მიერ სარკინიგზო ჯარების შემოყვანის თაობაზე განცხადებასავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2015 წლის აგვისტოს დასაწყისში, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ოჩამჩირე-ენგურის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოების საბაბით სარკინიგზო ჯარები შეიყვანა.

საგარეო უწყება:

— აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში უკვე რამდენჯერმე დაფიქსირდა რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული ხასიათის ქმედებები. ნიშანდობლივია, რომ 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში ინტერვენციამდე, რუსეთმა ასევე უკანონოდ დაიწყო აფხაზეთის რეგიონში რკინიგზის მონაკვეთის აღდგენა და საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ჯარები შემოიყვანა, რაც შემდგომში ეფექტურად გამოიყენა საჯარისო ნაწილებისა და ტექნიკის ტრანსპორტირებისთვის სამხედრო მოქმედებების დროს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს მოსკოვის მორიგ აგრესიულ და პროვოკაციულ ქმედებას და კატეგორიულად მოითხოვს, რომ საოკუპაციო რეჟიმმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული უკანონო საქმიანობა საქართველოს ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე მოითხოვს რუსეთის ფედერაციისგან საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემას და ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების შესრულებას და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის უკანონო პოლიტიკას და მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

ინტერპრესნიუსი

# თამარ ბერუჩაშვილი: გაერო-ში საქართველოდან ერთი დელეგაცია წავა“

— გაერო-ში საქართველოდან ერთი დელეგაცია წავა, პრეზიდენტი კი გარკვეულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გაერო-ში საქართველოს დელეგაციას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წარმოადგენს, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, თამარ ბერუჩაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, ამის პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილიც დაესწრება გენდერული განვითარების პრობლემატიკასთან დაკავშირებით გაერო-ს კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებას, რომელზეც ის ლიტვის პრეზიდენტმა მიიწვია.

თამარ ბერუჩაშვილი:

— გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და მას შემდეგ, რაც საქართველომ ოფიციალურად გაიარა პროცედურით გათვალისწინებული რეგისტრაცია, ჩვენი ქვეყნის დელეგაციას გაერო-ში წარმოადგენს პრემიერ-მინისტრი. ის მონაწილეობას მიიღებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, სადაც პრემიერი, როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, სიტყვით გამოვა, ასევე დაგეგმილია განვითარების სამიტთან დაკავშირებით სპეციალური ღონისძიება, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი შეაჯამებს იმ წარმატებებს, შედეგებს, რაც საქართველოს ათასწლეულის განვითარების პროგრამის ფარგლებში აქვს.

გარდა ამისა, გაერო-ს ამ ძალიან მნიშვნელოვანი კვირეულის ფარგლებში გათვალისწინებულია კიდევ მთელი რიგი ღონისძიება, რომელზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს, მათ შორის ეს იქნება ბიზნესფორუმი. რაც შეეხება პრეზიდენტს, მოგეხსენებათ, რომ გაერო-ს კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური ღონისძიება, რომელსაც ლიტვის პრეზიდენტი აწყობს და რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალთა საკითხთა გენდერული განვითარების პრობლემატიკას ეძღვნება.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა 2015 წელი ქალთა წლად გამოაცხადა, ის მიწვეულია ამ ღონისძიებაზე და მონაწილეობას მიიღებს მასში, — განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი ვაშინგტონში რამდენიმე შეხვედრას გამართავს. კერძოდ, ის სიტყვით გამოვა რამდენიმე უნივერსიტეტში.

რაც შეეხება შეკითხვას, მოხდე-



ბა თუ არა გაერო-ში საქართველოდან ორი დელეგაციის გამგზავრება, ბერუჩაშვილის თქმით, ქვეყნიდან ერთი დელეგაცია გაემგზავრება. პრეზიდენტი კი მონაწილეობას მიიღებს „გარკვეულ ღონისძიებებში, რომელიც სპეციალურ თემებს მიეძღვნება“.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კონსტიტუციის დღე უქმედ გამოცხადდება?

ნონა ცაბაძე



**24 აგვისტო საქართველოს კონსტიტუციის დღეა. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტის სასახლეში სადღესასწაულო მიღება გაიმართა, რომელშიც მთელი ხელისუფლება მონაწილეობდა.**

მიღებაზე პრეზიდენტი 24 აგვისტოს უქმედ გამოცხადების ინიციატივით გამოვიდა.

მან გამოაცხადა საპრეზიდენტო კონკურსი „ჩემი კონსტიტუცია", რომლის მთავარი მიზანი ახალგაზრდობაში ამ დოკუმენტის პოპულარიზაცია და მის გარშემო დისკუსიების გახსნაა.

პრეზიდენტის ინიციატივას იქვე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

— ისედაც ძალიან ბევრი უქმე დღე გვაქვს. ჩვენ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ კონსტიტუცია ცხოვრებაში დაინერგოს. მე დღეს პირველად მოვისმინე ეს იდეა და ვნახოთ, დავფიქრდეთ. ყოველ წელს რომ უნდა აღვნიშნოთ, ეს ნამდვილად ასეა, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

რას ფიქრობს საზოგადოება პრეზიდენტის ინიციატივაზე.?

**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

— სწორი ინიციატივაა. მე უხსოვარი დროიდან ვცხოვრობ დედამიწაზე და კონსტიტუციის მიღების დღე ყოველთვის იყო უქმე. მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ასეა, რა არის აქ გასაკვირი.

— პარლამენტის თავმჯდომარე წინააღმდეგი წავიდა, ისედაც ბევრი დასვენების დღე გვაქვსო.

— მე არ ვიცი, რატომ წავიდა პარლამენტის თავმჯდომარე ამის წინააღმდეგი, კონსტიტუციის დღე კი ნამდვილად უნდა იყოს დასვენების დღე, თუმცა მირჩევნია, ჩვენი კონსტიტუცია ცოტა უფრო დახვეწილი იყოს, მაგრამ, რაც გვაქვს, იმას მაინც უნდა ვცეთ პატივი.

**ანი მიროტაძე, პარლამენტის უმრავლესობის წევრი:**

— კონსტიტუცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია და შესაბამისი პატივისცემა უნდა იყოს მის მიმართ. თუ პრეზიდენტი ფიქრობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ღირს საუბარი და კონსულტაციები, თუ ის ფიქრობს, რომ ეს არის თემა, რომელიც განსახილველია, ამ კონსულტაციებზე უარს არ ვიტყოდი. რატომაც არა, ჩვენ შეგვიძლია, შევაჯეროთ არგუმენტები. კონსტიტუცია იმდენად მნიშვნელოვანი დოკუმენტია ქვეყნისთვის, რომ ამაზე დაფიქრება ღირს.

***— უნდა იყოს უქმე თუ არა?***

— ამაზე ადრე არ მიფიქრია. ეს თემა განსახილველად ღირს.

**ზაქარია ქუცნაშვილი, პარლამენტის წევრი:**

— როდის იყო, ქართველები უქმე დღეებზე უარს ვამბობდით.

***— ზოგი რომ წინააღმდეგი მიდის?***

— იქიდან გამომდინარე, რომ კონსტიტუციის დღე აგვისტოს ემთხვევა, მე ამაში შეუსაბამოს ვერაფერს ვხედავ.

***— აგვისტო ცხელია და არ გვაწყენს დასვენება.***

— ცხელია, თან აგვისტო ისედაც პასიურია მუშაობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ამაში ცუდსა და შეუსაბამოს ვერაფერს ვხედავ. ჩემთვის პრეზიდენტის ინიციატივა მისაღებია.



# მიქვაბია: მუქთახორებად გადავიქეცით"

**გუშინ, 25 აგვისტოს, აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა არტურ მიქვაბიამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკის პრობლემებს მიეძღვნა.**

— მიმდინარე ეკონომიკური ვითარება ძალიან რთულია, რაც გამოწვეულია როგორც საგარეო, ასე საშინაო ფაქტორებით, — განაცხადა მან.

ძირითად შიდა პრობლემად დე ფაქტო პრემიერმა ეკონომიკის სტრუქტურული დისბალანსი დაასახელა.

— ჩვენი ეკონომიკის სტრუქტურა გადაიქცა დიდ საპნის ბუშტად, რომელსაც მუდმივი კვება სჭირდება გარედან, — განაცხადა მიქვაბიამ.

მისი თქმით, აფხაზეთის ეკონომიკის 65 პროცენტს ვაჭრობა, მშენებლობა და სახელმწიფოს მართვა შეადგენს, მაშინ როცა ეკონომიკის ძირითადი ნაწილი ტურიზმი და სოფლის მეურნეობა უნდა იყოს.

— მაგრამ სწორედ ამ სფეროებში გვაქვს პრობლემები, — აღნიშნა მიქვაბიამ.

მისი აზრით, აფხაზეთმა შეწყვიტა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

— ჩვენ გვამარაგებენ ჩვენი მეზობლები. ბაზარზე უკვე არავის უკვირს, რომ პროდუქტების უმრავლესობა უცხოურია. ჩვენ გადავიქეცით მუქთახორებად, — განაცხადა დე ფაქტო პრემიერმა.

სხვა პრობლემად მიქვაბიამ რუსული დახმარების ინვესტირების არაეფექტიანი პოლიტიკა დაასახელა.

2010 წელს აფხაზეთის ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლები 2,7 მლრდ რუბლს შეადგენდა, 2014 წელს კი — 3 მლრდ რუბლს ანუ 4 წლის განმავლობაში ზრდამ მხოლოდ 9 პროცენტი შეადგინა. ამ პერიოდში რუსეთიდან აფხაზეთში 35 მლრდ რუბლის დახმარება შევიდა.

— ჩვენ არათუ არ ვვითარდებოდით ამ წლების განმავლობაში, არამედ, პირიქით, გბრუნდებოდით წარსულში, — განაცხადა არტურ მიქვაბიამ.



მოქმედმა პრემიერმა სახელმწიფო საწარმოების საქმიანობა მწვავედ გააკრიტიკა და მთავარ პრობლემად ხალხის დაბალი ნდობა დაასახელა.

— ჩინოვნიკები ფიქრობენ არა ხალხზე, არამედ საკუთარ კეთილდღეობაზე, — განაცხადა მან, — ეს ვითარება აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

დე ფაქტო პრემიერმა დადებით მომენტებზეც ისაუბრა. პირველ რიგში, ეს არის საგადასახადო შემოსავლების ზრდა ბიუჯეტში, რამაც ბოლო 7 თვის განმავლობაში 1,137 მლრდ რუბლი შეადგინა. ეს გასული წლის მაჩვენებელს 200 მლნ რუბლით აღემატება.

გამოსვლის დასასრულს მიქვაბიამ განაცხადა, რომ ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის საჭირო გახდება არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რას იგულისხმა ამ გადაწყვეტილებებში.

# მიხეილ მაჭავარიანი: პრემიერმა ლარის დასუსტება მზესა და მთვარესაც დააბრალა"

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერ მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, ლარის კურსთან დაკავშირებით დღეს არსებული მდგომარეობა ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილია.**

როგორც მაჭავარიანი აღნიშნავს, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის გეგმა მთავრობას არ გააჩნია.

**მიხეილ მაჭავარიანი:**

— მთავრობამ ლარის კურსის ვარდნა დაუკავშირა ყველა ფაქტორს, გარდა რეალურისა და, შესაბამისად, მათ არ გაითვალისწინეს ის რჩევები, რომლებიც უცხოელი მეგობრებისგან მიიღეს. ბუნებრივია, დღეს ყველა ველოდებოდით, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოსახლეობას კონკრეტულ გეგმას გააცნობდა — თუ რა უნდა გაკეთდეს ლარის გასამყარებლად, ეკონომიკური სტაბილურობის დასაბრუნებლად, რადგან ლარის დასუსტება ეკონომიკის სისუსტის შედეგია, ამოვარდნილად ლარი არ სუსტდება.

ყველაფერს ველოდი, გარდა იმ შეფასებისა, რაც პრემიერმა გააკეთა. მან ეკონომიკაში შექმნილი სიტუაცია ფსიქოლოგიურ-ემოციურ აჟიოტაჟს დააბრალა. ჯერ კიდევ მარტში, ხელისუფლებას ჩვენი გეგმა შევთავაზეთ, თუ როგორ გამოსულიყო ქვეყანა ამ მდგომარეობიდან და იმის ნაცვლად, რომ მთავრობას მოქმედება დაეწყო, თავისი გეგმა შემოეთავაზებინა, ისევ თავისი უნიათობით დაკავდა — ჯერ ეროვნულ ბანკს დააბრალა, მერე საგარეო ფაქტორებს, მერე მზესა და მთვარეს. ყველაფერს დააბრალა, გარდა რეალური პრობლემისა", — განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

მაჭავარიანის აზრით, ბიუჯეტში ხარჯები უნდა შემცირებულიყო, რასაც საქართველოს ხელისუფლებას უცხოელი მეგობრები ურჩევდნენ და ეს 300 მილიონით მაინც უნდა განსაზღვრულიყო.


გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სნრაში და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83




— მათ კი 146 მილიონით შეამცირეს. იმ დოკუმენტშიც კი, რომელიც მათ ვითომდა საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით ზოგიერთი ღონისძიებით დაწერეს, არც ერთი პუნქტი არ შესრულდა. აქ მითითებული იყო, რომ შეძლებისდაგვარად შეზღუდულიყო ოფისის მოვლა-შენახვის ხარჯები, მივიღეთ საპირისპირო — რამდენიმე ათეული მილიონი ლარი დაიხარჯა თბილისის ყოფილი პარლამენტის შენობისა და კანცელარიის რემონტისთვის.

178 მილიონი ლარი კი, 1 წლის განმავლობაში, სამარცხვინო მერიამ, პირდაპირი შესყიდვით დახარჯა. ეს ფული რომ ტენდერით წასულიყო, სულ მცირე, 30 მილიონი დაიზოგებოდა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, 2010-2014 წლებში, გიგი უგულავას მერობის დროს ჯამში არაა ამდენი თანხა დახარჯული. ანუ, იმის მაგივრად, რომ ლარი არ გასულიყო ბაზარზე, ეს მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რაც შეიძლება მეტი ლარის ზეწოლა მომხდარიყო, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

დეპუტატი შეეხო ექსპორტის თემასაც, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლარის კურსის დასტაბილურებაში და აღნიშნა, რომ ექსპორტი და ფულადი გზავნილები, ჯამში, 600 მილიონი დოლარითაა შემცირებული.

**მიხეილ მაჭავარიანი:**

— ანუ, საქართველოში შარშანდელთან შედარებით, ლარის ფულის მასაზე 600 მილიონი დოლარით ნაკლები შემოვიდა. ამ 600 მილიონის ნაკლებობას აქაც შემცირებული ხარჯები უნდა დახვედროდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლარის მასა უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე დოლარი და კურსი გაიქცეოდა, რაც მოხდა კიდეც.

ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას გამოეყენებინა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება, გაეკვლია ახალი გზები, მაინც ჩამოვეკიდეთ რუსულ ბაზარს, რომელიც ექსპორტში, საქართველოში მე-4 ადგილზეა. საქართველოს მთავრობა ისევ ჯიუტად იყურება ჩრდილოეთისკენ. არსებული მდგომარეობა, იმ არაკომპეტენტური პოლიტიკის პირდაპირი შედეგია, რასაც მთავრობა ატარებს. ჩვენ ვაპირებთ ეს საკითხი ძალიან მწვავედ დავსვათ სესიაზე, მაგრამ არ გვაქვს იმედი, რომ უნიათო პრემიერი ამას გამოასწორებს, რადგან ყველა მისი გამოჩენა და განცხადება აბსოლუტურად უკუმოქმედებს ლარის სტაბილურობაზე.

ინტერპრესნიუსი

# გაგრაში ბანკი გაძარცვეს

გუშინ, 25 აგვისტოს, აფხაზეთის „სბერბანკის" გაგრის განყოფილებაზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა.

თავდამსხმელებმა 14 მილიონ რუბლზე მეტი გაიტაცეს.

გამოძიების ვერსიით, 12.10 საათზე 4 ნიღბიანი, ავტომატური იარაღებით შეიარაღებული პირი თავს დაესხა „სბერბანკის" გაგრის განყოფილებას, რის შემდეგაც მუქი მწვანე ფერის მერსედესით მიიმალა.

ეს მანქანა სამართალდამცავებმა დამწვარი იპოვეს სოფელ ფსახარაში.

მიმდინარეობს გამოძიება.

# შსს-მ ქურდობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1982 წელს დაბადებული მიხეილ კ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიხეილ კ-მ ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების საკურორტო დასახლება შეკვეთილში, სასტუმრო „ოლიმპის" ერთ-ერთ ნომერში უკანონოდ შეაღწია და მოქალაქის კუთვნილი, „სამსუნგის" ფირმის მობილური ტელეფონი მოიპარა. დაახლოებით ორი საათის შემდეგ კი ბრალდებულმა შეკვეთილში, სასტუმრო „გურია პალასის" ერთ-ერთი ნომრიდან მოქალაქის კუთვნილი, „ალკატელის" ფირმის მობილური ტელეფონი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიხეილ კ. შეკვეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, მოპარული მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით).

# სკანდალური დოკუმენტი — რევაზ არველაძემ არჩევნები უკვე მოიგო?!



3 ოქტომბერი მნიშვნელოვანი თარიღია ქართულ ფეხბურთში. ამ დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და ვნებათაღელვაც ნელ-ნელა მატულობს.

ტემპი ჯერ, რა თქმა უნდა, დაბალია, თუმცა, სამაგიეროდ, ინტერესი და მოლოდინია უსაშველოდ დიდი. ერთნი სფფ-ის მოქმედ გენერალურ მდივან რევაზ არველაძეს ემხრობიან, მეორენი ვეტერანი ფეხბურთელის, ლევან კობიაშვილის გაპრეზიდენტებაში ხედავენ დაჩაჩანაკებული ქართული ფეხბურთის აღორძინების შანსს, იქით მერაბ ჟორდანიას გვარმაც გაიჟღერა, სპორტის ექსმინისტრ ლევან ყიფიანზეც ითქვა.

---

გუშინ რევაზ არველაძემ ოფიციალურად გააკეთა განცხადება დარეგისტრირების შესახებ. მანამდე კი ერთადერთი დარეგისტრირებული კანდიდატი უეფას მედია-ოფიცერი მამუკა კვარაცხელია იყო, რომელსაც ადრეც უცდია არჩევნების მოგება, მაგრამ უშედეგოდ.

გულშემატკივრებში გავრცელებული ხმებით, ყველაზე დიდი ბრძოლა არველაძესა და კობიაშვილს შორისაა მოსალოდნელი.

ეს გასაგებიცაა — არველაძე უკვე წლებია, ფედერაციაში მუშაობს, სხვებზე მეტად გამოცდილია ამ საქმეში და მეტი ბერკეტიც გააჩნია შიგნიდან. სამაგიეროდ, კობიაშვილი უზომო პოპულარობით სარგებლობს ქომაგებში, თუმცა „ავისმსურველნი“ მთავრობის ფავორიტად ასახელებენ და არჩევნებში ხელისუფლების ჩარევის მოსალოდნელ საფრთხეებზეც მიუთითებენ. ამის უმთავრეს მიზეზად კი ქვეყნის ვიცეპრემიერ კახა კალაძეს ასახელებენ, რომელსაც კობიაშვილთან ახლო მეგობრობა რომ აკავშირებს, ცნობილი ამბავია.

მოკლედ, კი ვთქვით, რომ ტემპი დაბალია, მაგრამ, დაგვეთანხმებით, უკვე საკმარისი მიზეზი ჩამოვთვალეთ, რათა დიდი ინტერესით დაველოდოთ არჩევნების დღეს და, ამავდროულად, პროფესიული მოვალეობაც შევასრულოთ — წინასაარჩევნო კამპანია გავაშუქოთ.

---

სწორედ წინასაარჩევნო ამბებზე მოგვიწევს ლაპარაკი ახლა, უფრო ზუსტად, სკანდალურ დოკუმენტებზე, რომლებიც ხელთ ჩაგვივარდა.

მივყვეთ მიმდევრობით: ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში 35 ხმოსანი სუბიექტი მონაწილეობს, ოღონდ წლეულს ერთი გამონაკლისია — სფფ-ის მიერ წინა ჩემპიონატიდან მოხსნილი საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ დასჯილია და, შესაბამისად, ხმის უფლებაც შეუჩერდა.

იქიდან გამომდინარე, რომ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის აქტიურ ოპონენტად მიიჩნევა, შეიძლება ითქვას, რომ მისი დასჯით სწორედ არველაძემ მოიგო, რადგან ერთი პოტენციური ხმა ჩამოართვა კობიაშვილს.

დარჩა 34 სუბიექტი, რომელთაგან უმეტესობა რეგიონული ფედერაციები და ასოციაციებია, სწორედ ის ფილიალები, რომლებიც უშუალოდ სფფ-ის დაქვემდებარებაში შედიან — სულ 22 წევრი.

როგორც წესი, ეს სუბიექტები თავად ირჩევენ თითო დელეგატს ხმის უფლებით და სწორედ ამ დელეგატების სინდისზეა მომავალი პრეზიდენტის ბედი. ეგაა, აქამდე ჩატარებულ თითქმის არცერთ არჩევნებზე დელეგატებს არავინ არაფერს ეკითხებოდა და ალბათ ამიტომაც არ იყო ეს საკითხი აქტუალური. წლევანდელი არჩევნები კი ამ მხრივაც გამორჩეული ჩანს.

ჩვენ მიერ მოპოვებული სკანდალური დოკუმენტებიც სწორედ ამ დელეგატებს ეხებათ — რატომღაც, რეგიონული ფედერაციები დელეგატებად თურმე „ირჩევენ“ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. სტატიაზე თანდართულ სურათებზე შეგიძლიათ ნახოთ გურიის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის მიერ სფფ-ში გაგზავნილი დადგენილება, სადაც წერია, რომ ხმის უფლების მქონე დელეგატად არჩეულია გოჩა ტყებუჩავა. რომ არ დაგაბნიოთ, აქვე გეტყვით: ტყებუჩავა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია ანუ ის დღეს ოფიციალურად ითვლება ფედერაციის თანამშრომლად და, როგორ ფიქრობთ, ვინ დარჩება ამით მოგებული?

რიტორიკული კითხვა პასუხს, ალბათ, აღარც საჭიროებს, რადგან, თუ ლოგიკას მოვიშველიებთ და დანარჩენ 21 სუბიექტზეც მსგავს სცენარს წარმოვიდგენთ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ რევაზ არველაძეს არჩევნებში წარმატება, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს.

---

ისე, ცოტა არ იყოს, უხერხულია, როცა სფფ-ის მაღალჩინოსნები ლამის თვეებია, არჩევნებში ხელისუფლების შესაძლო ჩარევაზე მიანიშნებენ და ამ დროს თავად ასეთი იაფფასიანი ტრიუკებით არიან დაკავებულნი.

აქვე ერთი საინტერესო დეტალიც უნდა გახსენოთ: გურიის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ებრალიძე ცოტა ხნის წინ პირადად „გამოუტყდა“ ადგილობრივ ვეტერანებს, რომ ხმას არველაძეს აძლევდა და გურულების ფავორიტ მერაბ ჟორდანიაზე უარს ამბობდა. ამ შეხვედრაზე კი ებრალიძემ გასაოცარი საქციელითაც მოიწონა თავი — თურმე ის ძალიან ამაყობს იმით, რომ ორჯერ შეძლო, უმაღლეს ლიგაში ეთამაშებინა ლანჩხუთის „გურია“, მაშინ როცა კლუბს საამისო ლიცენზია არ გააჩნდა.

დასკვნა თქვენთვის მოგვინდვია.



კულუარულმა წყარომ, ტყებუჩავას გარდა, სხვა სუბიექტების მიერ დასახელებული საინტერესო დელეგატებიც გაგვიმხილა: ოთარ კორღალიძე (ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი), ნიკა ჩხეიძე (ეროვნული ნაკრების ტექნიკური დირექტორი), გიორგი ხაჩიძე (სფფ-ის აკადემიის მენეჯერი).



ბავშვთა სკოლების ასოციაციას სულაც არჩილ არველაძე ხელმძღვანელობს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩევნებსა და წინასაარჩევნო პერიოდზე კონტროლი უშუალოდ სფფ-ის გენერალურ სამდივნოს ევალება, თუმცა ინფორმაცია მიუწვდომელი რჩება სხვა კანდიდატებისთვის, მაშინ როცა რევაზ არველაძე ამ მხრივაც უპირატესობაშია.

ჩვენი ინფორმაციით, სამდივნოში უკვე 15-მდე განცხადებაა შესული იდენტური შინაარსით — ყველა არველაძეს უჭერს მხარს, ხოლო დელეგატად სფფ-ს თანამშრომელია წარდგენილი. არადა, თავად არველაძეც და მისი ოპონენტებიც ღიად აცხადებენ, რომ ჯერჯერობით სუბიექტებთან შეხვედრები და საკუთარი პროგრამების პრეზენტაცია არც კი დაუწყიათ.

არველაძემ ოფიციალურად მხოლოდ გუშინ განაცხადა, რომ უფლებამოსილებას იჩერებს და კანდიდატად წარდგენილია. ეს იმ დროს, როცა ჩვენ მიერ მოპოვებულ დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ მისი წარდგენა სუბიექტებმა ერთი კვირის წინ დაიწყეს. უფრო მეტიც, 14 აგვისტოს, პარასკევს, გახდა ცნობილი არჩევნების თარიღი, 17 აგვისტოს, ორშაბათს, დაიწყეს კანდიდატურად არველაძის წარდგენა. ალბათ, დღესავით ნათელია, რატომ ასაიდუმლოებდა ამას არველაძე. ყველა დოკუმენტაცია მხოლოდ მისთვისაა ხელმისაწვდომი. დანარჩენი კანდიდატებისთვის წინასაარჩევნო შეხვედრები უკვე აზრს კარგავს.

მოკლედ, ფეხბურთში მრავალჯერ ნახსენები „ყველაზე კარგი დაცვა თავდასხმაა“ რევაზ არველაძემ საკუთარ თარგზე მოჭრა და... თუ რამე სასწაული არ მოხდა, ალბათ, არჩევნებსაც ამით მოიგებს.

ამ ყველაფრის ფონზე ჩვენთვის ძალიან უცნაურია სხვა კანდიდატების დუმილი, თუმცა, ვფიქრობთ, წინ კიდევ ბევრი საინტერესო ამბავი გველის.

**ნინო ბარბაქაძე**



ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირი

3/2 03

ქ. თბილისი

24.08.2015

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამდივნოს

გაცნობებთ, რომ ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირი სფფ-ს 24-ე ყრილობაზე დელეგატად წარმოადგენს ნიკოლოზ ჩხეიძეს.

პატივისცემით

ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე

№ 1024 24.08.15

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

GFF CHANCELLERY

# მინისტრის ოთხსულიანი ოჯახი თვეში რამდენს ხარჯავს და უბრალო ადამიანის ოთხსულიანი ოჯახი — რამდენს?

ლია ოსაძე

## რამდენია საჭირო საარსებო მინიმუმისთვის

საქსტატმა საარსებო მინიმუმის ივლისის მონაცემები გამოაქვეყნა.

შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი ივნისში 161 ლარი იყო, ხოლო ივლისში — 155 ლარი.

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი ივნისში 143 ლარს შეადგენდა, ივლისში — 137 ლარს.

საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი ივნისში 270 ლარი გახლდათ, ივლისში — 261 ლარი.

**ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი ივნისში 143 ლარი იყო, ივლისში — 137 ლარი.**

**ორსულიანი ოჯახი: ივნისი — 228 ლარი, ივლისი — 220.**

**სამსულიანი ოჯახი: ივნისი — 257, ივლისი — 248.**

**ოთხსულიანი ოჯახი: ივნისი — 286, ივლისი — 275.**

**ხუთსულიანი ოჯახი: ივნისი — 321, ივლისი — 310.**

**ექვსსულიანი და მეტი: ივნისი — 380, ივლისი — 366.**

— იმისთვის, რომ ადამიანმა არსებობა შეძლოს, თითოეულ კატეგორიაზე 25%-ით მეტი უნდა იყოს, — გვითხრა ეკონომისტმა ავთანდილ სილაგაძემ, — ეს 25%-იც ნაკლებია საარსებო მინიმუმისთვის, მაგრამ რას ვიზამთ.

— ეს მეთოდიკა გადასინჯვას მოითხოვს, — აღნიშნა საქსტატის ყოფილმა ხელმძღვანელმა სოსო არჩვაძემ.







სექტემბერში გათვალისწინებულია ექსპერტებისა და სპეციალისტების შეხვედრა საქსტატის წარმომადგენლებთან, სადაც მოხდება სხვადასხვა მეთოდოლოგიური საკითხის განხილვა.

თუ ადამიანს განვიხილავთ, როგორც მოქალაქეს, როგორც ინდივიდს, რომელმაც არ უნდა განიცადოს დეგრადაცია, მას მინიმალური შემოსავალი 280 — 300 ლარი (სამსულიანი ოჯახი) უნდა ჰქონდეს, ოთხსულიანი ოჯახის შემოსავალი კი 800 ლარის ფარგლებში უნდა იყოს განსაზღვრული.

რაც უფრო მრავალსულიანია ოჯახი, მეტია ხარჯიც.

რამდენია ოჯახის საარსებო მინიმუმი?

**მიხეილ ცაგარელი, ასტროლოგი:**

— როგორ შეიძლება, სამსულიანმა ოჯახმა 248 ლარი იკმაროს? ეს არის დაცინვა და მეტი არაფერი. სულ მცირე, სამსულიან ოჯახს 300 დოლარზე ქვევით არ უნდა ჰქონდეს შემოსავალი, უფრო სწორად, 300 დოლარიდან უნდა იწყებოდეს შემოსავლის წყარო.

პენსიონერს თვეში 200 დოლარი უნდა ჰქონდეს, რათა არსებობა შეძლოს.

**გიორგი შენგელაია, რეჟისორი:**

— როგორ გამაცინეთ, რომ იცოდეთ. ჩვენს ქვეყანაში თავად არ იციან, რა არის მინიმუმი და სხვას როგორ ეუბნებიან? საარსებო მინიმუმი თვეში ოჯახს 2.000 ლარი უნდა ჰქონდეს, ხოლო პენსია — 300 დოლარი, როგორც სომხეთში სომხებს აქვთ.

გია ბუღაძე, მხატვარი:

— სამსულიან ოჯახს 700 ლარი მაინც უნდა ჰქონდეს, რათა თავის გატანა შეძლოს, ხოლო ექვს და უფრო მეტსულიან ოჯახს — 2.000 ლარი, რადგან იმ ოჯახში რამდენიმე თაობაა. ოჯახში რაც უფრო მეტი ადამიანია, მით უფრო მეტი პრობლემაა. პენსიონერს 300 ლარის ქვევით პენსია არ უნდა ჰქონდეს.

**ზურაბ ყიფშიძე, მსახიობი:**

— ხანდაზმულებს 4-ჯერ მეტი პენსია უნდა ჰქონდეთ, ვიდრე აქვთ. იმათ უფრო სჭირდებათ დახმარება და მოფერება. როგორი მადლიერები იქნებიან, სიცოცხლის ბოლო წლებს თუ გავულამაზებთ.

ძალიან მაინტერესებს, მთავრობის წარმომადგენლის ოთხსულიანი ოჯახი თვეში რამდენს ხარჯავს და უბრალო ადამიანის ოთხსულიანი ოჯახი — რამდენს? ნუთუ მთავრობის წევრები ამაზე არასდროს დაფიქრებულან?

დღეს საარსებო მინიმუმი 2.300-2.500 ლარი უნდა იყოს, რათა ოჯახი, ელემენტარულად, არჩინო.



# ლარი ისევ გაუფასურდა

1 დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4161 ლარი გახდა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვით, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებით გაუფასურდა. კერძოდ, დღეიდან, 26 აგვისტოდან, 1 დოლარის შეძენა 2.4161 ლარად იქნება შესაძლებელი.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.3640 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0521 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებითაც გაუფასურდა.

კერძოდ, 26 აგვისტოდან 1 ევროს შეძენა 2.7701 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7162 ლარს შეადგენდა.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებით 0.0539 ლარი შეადგინა.

# ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტი: კურსის დამატებით მერყეობას არ ველოდებით“



სხვა თანაბარ პირობებში ჩვენ კურსის დამატებით მერყეობას არ ველოდებით.

ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა განაცხადა.

— ეკონომიკაში არსებულმა შოკებმა და მოლოდინებმა უკვე მოახდინა ზეგავლენა ეროვნულ ვალუტაზე და ლარის კურსზე მოქმედი სავალუტო შემოდინებების დანაკლისი უკვე ასახულია იმპორტის დინამიკაში, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვა თანაბარ პირობებში ჩვენ კურსის დამატებით მერყეობას არ ველოდებით, — განაცხადა მესტვირიშვილმა.

რეგიონის მიმდინარე გეოპოლიტიკური პრობლემები საქართველოზეც ახდენს გავლენას, თუმცა არსებული და დღეისათვის ცნობილი შესაძლო შოკები უკვე არის ასახული არსებულ კურსში.

— ამჟამად კურსზე ზედმეტი ზეწოლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი შემოდგომით გაუფასურებასთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინია, თუმცა, სხვა თანაბარ პირობებში, შემოდგომაზე ბაზრის დღევანდელ ქცევას საპირისპირო ეფექტი ექნება, რაც კურსის გამყარებას შეუწყობს ხელს, — განაცხადა მესტვირიშვილმა.

მისივე თქმით, ეროვნულ ბანკს აქვს კომუნიკაცია მთავრობასთან და ეროვნული ბანკის პოლიტიკასთან და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით კითხვები ამოწურულია.

— ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია მთავრობასთან და ეროვნული ბანკის პოლიტიკასთან და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით კითხვები ამოწურულია. რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას, წლის განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვა დაბალანსებულად მიმდინარეობს და წლის დარჩენილ პერიოდში კურსზე ნეგატიურ ზეგავლენას არც ამ კუთხით არ ველოდებით, — განაცხადა არჩილ მესტვირიშვილმა.

# ხადური: ლარის კურსი აუცილებლად დასტაბილურდება“

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, ბაზარზე ადგილი აქვს სპეკულაციურ მოვლენებს, თუმცა ის დარწმუნებულია, რომ ლარის კურსი აუცილებლად დასტაბილურდება. ამის შესახებ ხადურმა მთავრობის 25 აგვისტოს სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტის ოპერაციებით იანვარ-ივლისში ქვეყანაში შემოსულია 81 მილიონი დოლარით მეტი საბიუჯეტო დახმარება, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტს გადახდილი აქვს კრედიტები.

ხადურის თქმით, ამაში არ შე-



დის საინვესტიციო კრედიტები, რომელთაც საქართველო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით იღებს.

— წლის ბოლომდე ველოდებით დამატებით 110 მილიონ დოლარს, ანუ წლის განმავლობაში დაახლოებით 200 მილიონი დოლარით მეტი შემოვა სახელმწიფო ბიუჯეტის ოპერაციებით, ვიდრე ჩვენ გადავიხდით, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს საბიუჯეტო ხარჯვა უპრეცედენტოდ თანაბარია.

— ჩვენ ეს ინფორმაცია მივაწოდეთ კომერციულ ბანკებსაც და ყოველთვიურად განახლებულ ინფორმაციას მივაწვდით, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს არის დროებითი მოვლენა. ადგილი აქვს სპეკულაციურ მოვლენებს ბაზარზე და კურსი აუცილებლად დასტაბილურდება. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტის ოპერაციები არც აქამდე და არც ამის შემდეგ გავლენას არ იქონიებს გაცვლითი კურსის გაუარესებაზე. ხადურის განცხადებით, პირიქით, ეს შემაკავებელი ფაქტორიცაა, ვინაიდან ეროვნული ბანკის ანგარიშზე ხაზინაში დაგროვილია 700 მილიონ ლარზე მეტი დეპოზიტი.

ამის გარდა, ფინანსთა მინისტრის განმარტებით, წლის ბოლომდე მთავრობა ვარაუდობს, რომ დაახლოებით მილიარდი ლარი ექნება შემოსავალი, რომელსაც არ დახარჯავს და ბაზარს არ დააწვება.

# გიორგი აბაშიშვილი: ლარის კურსთან დაკავშირებით ნეგატიური მოლოდინების განეიტრალებაა საჭირო“



მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს და გაძლიერდეს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის კოორდინირებული მუშაობა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა გიორგი აბაშიშვილმა ლარის გაუფასურების ტენდენციაზე კომენტირებისას განუცხადა.

მისივე განმარტებით, ასევე საჭიროა ნეგატიური მოლოდინების განეიტრალება, რის მიღწევასაც, პრეზიდენტის მრჩევლის აზრით, ხელს მნიშვნელოვნად სწორედ მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის კოორდინირებული მუშაობა შეუწყობს.

— არსებულ ვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს და გაძლიერდეს კოორდინირებული მუშაობა საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის. ვფიქრობ, გამოინახება გზები, რომ ლარის კურსის მერყეობა, ერთი მხრივ, გონივრული, საბაზრო მექანიზმებით იქნას შეჩერებული, მეორე მხრივ კი მოხდეს მნიშვნელოვანი დანაკარგების თავიდან აცილება. საჭიროა ნეგატიური მოლოდინების განეიტრალებაც, ამის მიღწევას კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის კოორდინირებული მუშაობა, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

პრეზიდენტის მრჩევლის თქმით, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის თანამშრომლობა როგორც აუცილებელი ქმედებების შეთანხმებულად განხორციელებას, ისე კოორდინირებული განცხადებების გაკეთებას გულისხმობს.

— მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის შედეგად გაკეთებული განცხადებები უზრუნველყოფს ბაზარზე ნეგატიური მოლოდინების განეიტრალებას. კოორდინაცია მუდმივ რეჟიმში უნდა შენარჩუნდეს, რაც შეუწყობს ხელს ეკონომიკური პროგნოზირების გაუმჯობესებას, ეს კი მომავალში მსგავსი ტიპის რყევების ალბათობას მნიშვნელოვნად შეამცირებს, — აღნიშნა ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა.

# საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ ივლისში 39 მლნ ლარი შეადგინა




საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, მათ შორის, 16 — საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 2 — უცხოური ბანკის ფილიალით.

სებ-ის ინფორმაციით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.2 მლრდ ლარით ანუ 1.0%-ით გაიზარდა და 23.6 მლრდ ლარი შეადგინა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე 0.2%-ით გაიზარდა).

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 15.3 პროცენტია.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 78.6 პროცენტი შეადგინა.

გასული თვე საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. ივლისის თვის წმინდა მოგებამ 39.0 მლნ ლარი შეადგინა. 5 უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილმა საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 79.0% შეადგინა.

# თამარ სანიკიძე: მასწავლებლის ხელფასი სხვადასხვა დონეზე საგრძნობლად მოიმატებს“



განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, არსებულ პრობლემებსა და მოსალოდნელ სიახლეებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძეს ესაუბრა:

***— ქალბატონო თამარ, რა სიახლეებით ხვდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალ სასწავლო წელს?***

— როგორც წინა წლებში, წელსაც ზაფხული ცხელი გვაქვს. მზადება სხვადასხვა კუთხით მიმდინარეობს. ჩვენი ძირითადი მნიშვნელოვანი პრობლემა ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა, ამიტომ დიდი რესურსია გადატანილი ამ კუთხით. წელს დაახლოებით 500-მდე სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაგრამ არის სკოლების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც სერიოზული რესურსების ინვესტირება სჭირდება. მიმდინარეობს ახალი სკოლების მშენებლობა. 8 ახალი სკოლა უკვე დასრულებულია. 8 ახალი სკოლის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება. სკოლების მოთხოვნების შესაბამისად, დაახლოებით 127.000 მერხი და სკამი შევიძინეთ, პარალელურად მიმდინარეობს ბიბლიოთეკების აღჭურვა. წელს გვექნება განახლებული კომპიუტერული ლაბორატორიები, ინტერნეტის თემაც ნელ-ნელა წინ მიიწევს. წელს ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც ამოქმედდება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაა. სქემამ ნამდვილად ძირფესვიანად უნდა შეცვალოს სასკოლო ცხოვრება. მთელი ჩემი ყურადღება და ადამიანური რესურსი მიმართულია ამ სქემის ხარვეზების გარეშე დანერგვისკენ. სქემასთან დავაკავშირეთ სახელფასო პოლიტიკაც, 2015-2016 სასწავლო წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდა ორჯერადად გვექნება განსახორციელებელი. სხვადასხვა დონეზე ხელფასი საგრძნობლად მოიმატებს. წელს ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგების თემაა. სექტემბრიდან საქართველოს მასშტაბით სქემას სახელფასო ცვლილებებთან ერთად ავამოქმედებთ. სექტემბრიდან საბაზო ხელფასი 50 ლარით გაიზრდება და გაიზრდება კატეგორიების დანამატები. საბაზო ხელფასი თუ იყო 305 ლარი, 355 ლარი გახდება, აპრილში კი ეს ხელფასი კიდევ 50 ლარით მოიმატებს და 405 ლარი იქნება, რაც ნიშნავს, რომ პროპორციულად გაიზრდება საშუალო ხელფასიც. საშუალო ხელფასის ზრდის გარდა, გაიზრდება დანამატები, რომელიც თითოეულ კარიერულ საფეხურზე განსხვავებული იქნება.

***— როდის იწყება სწავლა საჯარო სკოლებში, რამდენია რეგისტრირებულ პირველკლასელთა რაოდენობა, როდის დაურიგდებათ მოსწავლეებს „ბუკები“ და სახელმძღვანელოები?***

— საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება. დღეის მდგომარეობით, საჯარო და კერძო სკოლებში სულ დარეგისტრირებულია 46 660 მოსწავლე. სახელმძღვანელოები და „ბუკები“ მოსწავლეებს სკოლაში დახვდებათ. „ბუკებს“ მიიღებენ პირველკლასელები. „ბუკი“ განსაზღვრულია პირველი ოთხი სასწავლო წლისთვის, ამისათვის პროგრამების გადახალისება მიმდინარე რეჟიმში ხდება.

***— წელს მოსწავლეებისთვის „ბუკების“ მიწოდებას შპს „ესაბი“ უზრუნველყოფს. ხელშეკრულება არ გაფორმდა გასული წლის ტენდერში გამარჯვებულ „იუ ჯი თი“-სთან. ხომ არ უკავშირდება ახალ კომპანიასთან ურთიერთობის დამყარება „იუ ჯი თი“-ს მხრიდან რაიმე ტიპის არაჯეროვან მომსახურებას?***

— ეს ჩვეულებრივი სატენდერო პროცედურების ფარგლებში გამოიკვეთა. ფასით ისევ „იუ ჯი თი“ ლიდერობდა, მაგრამ მათ პროდუქტთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტაციის წარმოდგენა ვერ მოახერხეს. შესაბამისად, გადავინაცვლეთ მომდევნო პრეტენდენტზე, რომელიც ამ შემთხვევაში არის „ესაბი“. „იუ ჯი თი“-მ შარშან აღებული პირობები ძალიან კარგად შეასრულა. პრეტენზია ნამდვილად არ გაგვაჩნია, პირიქით, ძალიან კარგი პარტნიორი ორგანიზაციაა, თუმცა ჩვენ სახელმწიფო უწყება ვართ, ტენდერის პირობებს უნდა დავემორჩილოთ. ტენდერის პირობების შესაბამისად, წელს ხელშეკრულება გავაფორმეთ „ესაბისთან“.

***— უკვე ცნობილია, რომ გასულ წელთან შედარებით, სამინისტრო წელს მნიშვნელოვნად ნაკლებ სახელმძღვანელოებს ბეჭდავს. პირველკლასელები მეორად წიგნებს მიიღებენ. რა განაპირობებს სამინისტროს ამ გადაწყვეტილებებს?***

— უფასო სახელმძღვანელოები ძალიან შრომატევადი პროექტია. ეს არ არის უბრალოდ წიგნის შესყიდვა და დარიგება. ეს არის მთელი სისტემის მონიტორინგი, არსებული სახელმძღვანელოების კონსოლიდაცია, გადარჩევა, დახარისხება, სკოლებში დაბრუნება, აღრიცხვა, თითოეული სახელმძღვანელოს შემოწმება. მადლობა ღმერთს, ეს პროცესები უკვე დავასრულეთ. ისევე, როგორც შარშან, წელსაც იქნება ახალი და ძველი სახელმძღვანელოების ნაზავი.

***— თუმცა, ძველი უფრო მეტი იქნება.***

— წელს სახელმძღვანელოების 60% გამოყენებული, 40% კი ახალი იქნება.

***— რა მდგომარეობაში იქნება მეორადი სახელმძღვანელოები?***

— თავიდან იყო შეფასების 15-ქულიანი სისტემა. შემდეგ ჩვენ ეს სისტემა გავამარტივეთ. ახლა გვაქვს 9-ქულიანი სისტემა. დასაშვებია, რომ 6-ქულიანი სახელმძღვანელო მოხმარებაში იყოს. შესაბამისად, წიგნი, რომელშიც არ არის მარკირება, რომელსაც აქვს ყდა ან ყდა დაზიანებულია არაუმეტეს 20-30%-ისა, გამოსაყენებელია.

***— რატომ არ ბეჭდავს „დედა ენას“ სამინისტრო? საჭიროება აღარ არის?***

— საჭიროება თუ არ არის, სამინისტრო არ დაბეჭდავს არც „დედა ენას“, არც რომელიმე სხვა კლასის რესურსს. სამინისტრო ბეჭდავს და ყიდულობს სახელმძღვანელოებს, რომელიც საჭიროა ქსელის შესავსებად. მბეჭდავ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 10%-იანი ლუფტი გვაქვს. თუ სახელმძღვანელოები დაგვაკლდა, ხელშეკრულების 10%-ის ღირებულების სახელმძღვანელოს თავიდან დაბეჭდვა შეგვიძლია, მაგრამ დღეს ამის საჭიროებაც არ არის. წიგნების საკმარისზე მეტი რაოდენობა გვაქვს და არის რეზერვიც.

***— რაც შეეხება თქვენს ინიციატივას, რაც დაზიანებული წიგნებისთვის ყდის გამოცვლას გულისხმობს. თუ აპირებს სამინისტრო ამ იდეის განხორციელებას?***

— ეს არ იყო ინიციატივა და მართლა არ მესმის, რატომ აიტაცეს ეს, როგორც ინიციატივა და გადაწყვეტილება. ყოველ წელს, როდესაც სახელმძღვანელოებს ვამოწმებთ, ყოველთვის ვამუშავებთ რამდენიმე ვერსიას. ერთ-ერთი ვერსია, რომელიც მოვიკვლიეთ, კარგი შიგთავსის მქონე წიგნისთვის ახალი ყდის გაკეთება იყო. გვქონდა რამდენიმე ალტერნატივა და ეს ნორმალურია, მაგრამ ეს არ ყოფილა ინიციატივა. წელს წიგნების გადარჩევა დასრულებულია. არანაირი საჭიროება არც წიგნის თავიდან აკინძვის, ახალი ყდის გაკეთების, შეკეთების არ გაგვაჩნია. სახელმძღვანელოები საკმარისი რაოდენობით გვაქვს. რომ არ გვქონოდა, თავიდან დავბეჭდავდით.

***— როგორც ცნობილია, 2016-2017 წლიდან ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები ამოქმედდება. რა სიახლეები შევიდა დოკუმენტში?***

— ძირითადი ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემდეგ აკადემიურ წელს გვექნება, გამოვაცხადებთ სახელმძღვანელოების კონკურსს. დავიწყებთ ახალი სახელმძღვანელოების შემუშავებას.

***— გამოდის, რომ მომავალ წელს სამინისტროს მოსწავლეების 100%-ით ახალი წიგნებით უზრუნველყოფა მოუწევს.***

— ეს დამოკიდებულია, როგორ დავნერგავთ ახალ გეგმას. თუ პირველ ოთხ ან პირველ ორ კლასს დავნერგავთ, შესაბამისად ის სახელმძღვანელო სრულიად ახალი იქნება. დასადგენია დანერგვის ეტაპები. გამოცხადდება კონკურსი, ავტორები მათ ნაშრომებს წარადგენენ, სამინისტრო შეაფასებს და საუკეთესო ვერსიებს მივანიჭებთ გრიფს. ჩვენ ვფიქრობთ, თითო საგანში მინიმუმ ორი ალტერნატივა მაინც უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, მთლიანად გადავხედეთ საზოგადოებრივი მეცნიერებების თემას. აქცენტი გავაკეთეთ თემატიკაზე, რომელიც გვჭირდება და ჩვენნაირი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. ჩამოვაყალიბეთ სტანდარტი და გავაკეთეთ პროგრამა.

***— საპატრიარქოში გამართულ ბოლო სხდომაზე წმინდა სინოდმა გამოთქვა სურვილი, დანერგვამდე განათლების სამინისტროს ახალი პროექტის განხილვა ეკლესიის, რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობითა და ფართო საზოგადოების ჩართულობით მომხდარიყო. საუბარია ახალი საგნების — „მე და საზოგადოება“ და „მე და სამშობლოს“ სწავლებაზე. თუ უზრუნველყო სამინისტრომ საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაცია?***

— რა თქმა უნდა, ეს პროცესები თავიდან ბოლომდე გახსნილი იყო. მონაწილეობდნენ როგორც საპატრიარქოს განათლების კომიტეტის წარმომადგენელი, ასევე ყველა დაინტერესებული პირი. მრავალჯერადი განხილვა მოხდა, იყო გარკვეული შენიშვნები, კომენტარები, ნაწილი გავითვალისწინეთ, ნაწილი — არა, მაგრამ მიღებული სტანდარტი და პროგრამა ნამდვილად ოპტიმალური და ყველასთვის მისაღებია. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი წინ არის, როგორც ლიტერატურას, საგანმანათლებლო რესურსს შევარჩევთ.

***— რამდენიმე თვის წინ თქვენ სკოლის გამოსაშვები და ეროვნული გამოცდების გაერთიანების ინიციატივა გაახმაურეთ. მუშაობს თუ არა ამ საკითხზე სამინისტრო?***

— სამინისტრო ამ იდეის ირგვლივ, რა თქმა უნდა, მუშაობს. გარკვეულ ინფორმაციას ხარისხის ეროვნული ცენტრისგან ველოდები. ამაზეა დამოკიდებული დაფინანსების მოდელი. ხოლო, როდესაც დაფინანსების მოდელზე ჩამოვყალიბდებით, ეროვნული გამოცდების სისტემის გადახედვას დავიწყებთ.

***— ექსპერტთა ნაწილი ეროვნული გამოცდების სისტემის გადახედვის აუცილებლობაზე საუბრობს. თქვენ რა კუთხით ხედავთ ცვლილებების საჭიროებას?***

— პირველ ყოვლისა, შესაცვლელია უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა. ჩვენ დღეს დაფინანსების და საგამოცდო სისტემა ერთმანეთთან გვაქვს დაკავშირებული. პირველ რიგში უნდა ჩამოვყალიბდეთ დაფინანსების სისტემაზე, შემდეგ მოვარგოთ ეროვნული გამოცდები. ეროვნული გამოცდები წარმოგვიდგენია, რომ იქნება ერთი და არა ორი, როგორც ახლა არის გაყოფილი სკოლის და უმაღლესის დონეზე, თუმცა რა სახით, — ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. მოდელთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულად ახალ წლამდე მეცოდინება.

***— ანუ ყველაზე აქტიურად გაერთიანების მოდელი განიხილება. იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ უნივერსიტეტებს თავად აერჩიათ სტუდენტები.***

— ცენტრალიზებული გამოცდის ვერსიაზე ვმუშაობთ, ოღონდ — ოპტიმიზირებული ფორმატით.

***— იმ ფონზე, რომ ყოველწლიურად არსებობს გარკვეული კონტინგენტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას ვერ ახერხებს და უმაღლესი სასწავლებლის მიღმა რჩება, როგორია მოთხოვნა პროფესიულ სასწავლებლებზე?***

— სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ პროფესიულ განათლებაში ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ. ერთადერთი, რაც ჩვენ გვჭირდება პროფესიული განათლების პოპულარიზაციაა. არ დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, სამწუხაროდ, ე.წ. პროფტექნიკუმები გარკვეულ სადამსჯელო იარაღს წარმოადგენდა. პროფესიულ განათლებას ამ კუთხით დღეს არ მოვისაზრებთ. პროფესიულ განათლებაში ჩართულ ადამიანებზე დგას ქვეყნის ეკონომიკა. განსხვავებული მეთოდოლოგიით ახალი სტანდარტები ჩამოყალიბდა. პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა უფასოა, რაც ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. რაც შეეხება მიმართვიანობას, ამ საკითხს მუდმივად ვაკონტროლებთ. 2013 წელს მიმართვიანობა ცოტა დაბალი იყო, 2014 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე უკეთესი მდგომარეობა იყო, მოთხოვნა იზრდება.

***— რაც შეეხება სასკოლო მზაობის პროგრამას. როგორც ცნობილია, პროგრამაზე მუშაობა დასრულებულია. ვინ და სად მოახერხებს აღნიშნული პროგრამით სარგებლობას?***

— საბავშვო ბაღებში ყველგან დაინერგება პროგრამა, სადაც შესაბამისი ასაკის ბავშვები იქნებიან. მაგრამ რადგან თბილისი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით პრობლემატურია, ჩვენ გამოვყავით სასკოლო ინფრასტრუქტურა, სადაც ამ პროგრამის განხორციელება იქნება შესაძლებელი. თბილისში შევთავაზეთ 50 საჯარო სკოლის ტერიტორიაც, რათა ადგილების პრობლემა არ ყოფილიყო. რეგიონებში ადგილის პრობლემა არ არის..

***— რას ისწავლიან ბავშვები?***

— ბავშვები ისწავლიან თამაშით. ეს არ მიდგომა, რომელიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ. დამერწმუნეთ, ეს ბავშვები შემდეგი სასწავლო წლისთვის ბევრად კარგად მომზადებულები იქნებიან. წერა-კითხვას არ სწავლობენ. ისინი შეიძენენ იმ უნარებს, რომელიც დაჭირდებათ სწორედ წერისა და კითხვისათვის. პროგრამა არის ყოველდღიური, სამ საათიანი. სწავლა დაიწყება ოქტომბერში და დასრულდება მაისის ბოლოს. პირველადი რეგისტრაცია გაკეთებულია კონტინგენტის სანახავად, მაგრამ თითოეული საბავშვო ბაღის და სკოლის მიხედვით ბაღების სააგენტოს მიერ სექტემბრის დასაწყისში რეგისტრაცია კიდევ გამოცხადდება, სადაც მშობლები შეძლებენ ბავშვები ფიზიკურად დაარეგისტრირონ იმ მისამართებზე, სადაც მათ ხელი მიუწვდებათ.

**ანა მარშანია, „ინტერპრესნიუსი“**

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ნიგერიაში ტერაქტს 6 ადამიანი ემსხვერპლა



ნიგერიაში მორიგი ტერორისტული აქტი განხორციელდა. თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი ქალაქ დამატურუს ცენტრალურ რაიონში ავტობუსის გაჩერებაზე აიფეთქა. ტერაქტს 6 ადამიანი ემსხვერპლა, 30 კი დაშავდა.

„როიტერის“ ცნობით, თავდამსხმელი თინეიჯერი ქალი იყო. გავრცელებული ცნობით, ის ავტობუსების გაჩერებაზე ცდილობდა შესვლას.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის აუღია, თუმცა ნიგერიაში მსგავს თავდასხმებს ისლამისტური დაჯგუფება „ბოკო ჰარამი“ ახორციელებს.

# რუსეთის სასამართლომ უკრაინელ რეჟისორს 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა



რუსეთის სასამართლომ უკრაინელ რეჟისორ ოლეგ სენცოვს — 20-წლიანი, ხოლო აქტივისტ ალექსანდრ კოლჩენკოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამის შესახებ უკრაინული მედია იტყობინება. მათ ყირიმში ტერორისტული აქტების ორგანიზება ედებათ ბრალად. სენცოვი და კოლჩენკო 2014 წლის მაისში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის მსვლელობისას დააკავეს.

რეჟისორი პუტინის პოლიტიკას, ყირიმის ნახევარკუნძულზე რეფერენდუმის ჩატარებასა და რუსეთის მიერ ყირიმის მიერთებას მკაცრად აკრიტიკებდა.

უფლებადამცველები ოლეგ სენცოვს პოლიტიკურ პატიმარს უწოდებენ.

# ერდოღანმა თურქეთის პრემიერს დროებითი მთავრობის ფორმირება დაავალა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა პრემიერ-მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს დროებითი მთავრობის ფორმირება დაავალა, რომელიც ვადამდელ არჩევნებამდე იმუშავებს. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს.

ივნისში ჩატარებული არჩევნების შედეგად დავუთოღლუს მმართველმა პარტიამ უმრავლესობა ვეღარ მოიპოვა, თუმცა არჩევნები განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა ქურთების მხარდამჭერი პარტიისთვის.

კოალიციური მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით კი მოლაპარაკებები მთავარ ოპოზიციურ პარტიებთან მარცხით დასრულდა.

როგორც მოსალოდნელია, ვადამდელი არჩევნები 1 ნოემბერს გაიმართება.

# თურქეთში შაჰ დენიზის“ გაზსადენზე აფეთქება მოხდა



თურქეთში „შაჰ დენიზის“ გაზსადენზე აფეთქება მოხდა. შედეგად აზერბაიჯანიდან თურქეთში ბუნებრივი აირის მიწოდება შეფერხდა. ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, აფეთქება ქურთმა მებრძოლებმა განახორციელეს. ჯერჯერობით უცნობია, როდის აღდგება გაზის მიწოდება.

ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე აფეთქება რამდენიმე კვირის წინ, 4 აგვისტოსაც მოხდა, რის გამოც 23 აგვისტომდე ასევე შეფერხებული იყო ბუნებრივი აირის მიწოდება.

„შაჰ დენიზი“ აზერბაიჯანის ყველაზე მსხვილი გაზსადენია, რომელიც „ბრიტიშ პეტროლიუმთან“ და აზერბაიჯანულ სახელმწიფო ენერგოკომპანია „სოკართან“ თანამშრომლობით შეიქმნა.

# ავღანეთში აფეთქებას 11 ადამიანი შეეწირა



ავღანეთში გაზსადენი აფეთქდა, რასაც 11 ადამიანი ემსხვერპლა, 18 კი მძიმედ დაშავდა. ქალაქ ჰერატში, სადაც გაზსადენი გადის, დიდი რაოდენობით ლტოლვილებია თავმოყრილი. აფეთქების შედეგად ხანძარმა მათი ბანაკის ნაწილი გაანადგურა.

მომხდარის გამომწვევი მიზეზები ჯერ უცნობია. პოლიცია ვერ აკონკრეტებს, ეს თავდასხმა იყო თუ არა.

# ესტონეთი რუსეთისგან დამცავ ბარიერს აშენებს




ესტონეთი რუსეთის საზღვართან 2,5-მეტრიანი მესრის მშენებლობას იწყებს. 108-კილომეტრიანი კედლის მშენებლობა 71 მილიონი ევრო დაჯდება. საზღვარზე დამატებით ვიდეოკამერებსაც დაამონტაჟებენ. ტერიტორიაზე პატრულირებას უპილოტო თვითმფრინავები აწარმოებენ.

ამ ფონზე აშშ ევროპაში „ეფ-22“ ტიპის ავიაგამანადგურებლებს განათავსებს. ამის შესახებ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურმა დებორა ლი ჯეიმსმა განაცხადა. მისივე თქმით, ევროპაში ნატოს პოტენციალის გაძლიერება მიზნად რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების აღკვეთას ისახავს. „ეფ-22 რეპტორ-ები“ ევროპაში დღემდე მხოლოდ ავიაშოუებსა და გამოფენებში მონაწილეობდა. დღეისათვის „ეფ-22-ებით“ კოალიცია ერაყსა და სირიაში ისლამისტთა პოზიციებს ბომბავს.

# სეული ფხენიანთან სიტუაციის დასტაბილურებას ცდილობს



სამხრეთი და ჩრდილოეთი კორეა დაძაბულობის დეესკალაციას ცდილობენ. „ბიბისი“ „კიოდოზე“ დაყრდნობით იტყობინება, რომ ოფიციალურმა სეულმა ფხენიანის საზღვართან დაყენებული დინამიკები გამორთო, საიდანაც ანტიკომუნისტური პროპაგანდის შემცველი ინფორმაცია ისმოდა.

სამხრეთ კორეამ პროპაგანდის დინამიკები ბოლო 11 წლის განმავლობაში პირველად აამოქმედა.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის ვითარება რამდენიმე დღის წინ დაიძაბა, როდესაც ჩრდილოეთმა სასაზღვრო რეგიონში ცეცხლი გახსნა. მას საპასუხო ცეცხლიც მოჰყვა.

მომხდარის შემდეგ სამხრეთ კორეამ სასაზღვრო რეგიონში მცხოვრები ადამიანების ევაკუაცია გამოაცხადა.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეამ 1950-1953 წლების ომის შემდეგ, ფაქტობრივად, სამშვიდობო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მხარეებმა ერთმანეთს არაერთხელ გაუხსნეს ცეცხლი.

# პირველად 2009 წლის მარტის შემდეგ ნავთობზე ფასი 45 აშშ დოლარს ჩამოსცდა

პირველად 2009 წლის მარტის შემდეგ „ბრენტის“ ტიპის ბარელ ნავთობზე ფასი 45 აშშ დოლარს ჩამოსცდა. როგორც რუსული ტელეკომპანია „დოჟდი“ წერს, 11:41 საათზე ვაჭრობა ნავთობზე 43,73 აშშ დოლარით მიმდინარეობდა. ასევე რუსეთის ეკონომიკის მინისტრმა ალექსეი ულიუკაევმა არ გამორიცხა, რომ ნავთობის ფასი 40 აშშ დოლარს ჩამოსცდეს.

„დოჟდის“ ინფორმაციით, ნავთობის ფასი მთავარ როლს თამაშობს რუსული რუბლის კურსის განსაზღვრაში. სწორედ ამას უკავშირდება ის, რომ დღეისთვის დო-



ლარი უკვე 71,17 რუბლი ღირს, ხოლო ევროს ფასმა 80 რუბლს გადააჭარბა.

ჩინეთის ეკონომიკის ზრდის შენელებამ კი მსოფლიო ბირჟებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

„ბიბისის“ ინფორმაციით, ლონდონის „ეფთიესი-ს“ ინდექსი 2,6%-ით დაეცა, ასევე 3%-ის ფარგლებში დაეცა საფრანგეთისა და გერმანიის ბირჟებიც.

სურათი უფრო მძიმეა აზიის ბირჟებზე. ჩინეთის შანხაის ბირჟა 8,5%-ით დაეცა, რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. ამას ემატება ისიც, რომ ნავთობის ფასი ექვსწლიან მინიმუმს ჩამოსცდა.

ევროპელ ინვესტორებს ისიც აშინებს, რომ გაიაფებული ჩინური პროდუქციის ფონზე ევროპული პროდუქტი ნაკლებად კონკურენტუნარიანი იქნება.

# ბაიდენი პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარ თავს ოქტომბერში დაასახელებს



ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის საპრეზიდენტო მარათონში ჩაბმასთან დაკავშირებით დასავლური მედია აქტიურად წერს, თუმცა თავად ბაიდენი ამ საკითხზე განცხადებას ჯერჯერობით არ აკეთებს.

„სიენენის“ ცნობით, სწორედ ამ თემაზე ჯო ბაიდენმა და ბარაკ ობამამ თეთრ სახლში გამართული სადილის დროს ისაუბრეს. რომლის დროსაც პრეზიდენტმა ვიცეპრეზიდენტის გეგმებს მხარი დაუჭირა და საპრეზიდენტო მარათონში წარმატება უსურვა.

გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი უკვე გავლენიან დემოკრატ სენატორებსაც შეხვდა და მათთან ერთად მომავალი კამპანიის საკითხები განიხილა.

დასავლური პრესის ვარაუდით, ჯო ბაიდენი საკუთარ კანდიდატურას ოქტომბრის დასაწყისში წამოაყენებს.

საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში მომავალი წლის ნოემბერში გაიმართება.

მოამზადა გვრა მამულაშვილმა

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### მკურნალობა

- „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი
- ალკოჰოლიზმისაგან, თამბაქოს მწეველობისგან განკურნება, ნერვული სტატუსის, უძილობის მოწესრიგება, მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა სექსუალური პრობლემის მოწესრიგება (იმპოტენცია, ფრიგიდულობა, კლიმაქსის ჩათვლით), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოწესრიგება ფიტოთერაპიული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. 599 65-43-66; 592 25-38-26. ნინო ექიმი.
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს,აგრესიას,აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას,ჩაკეტილობას,დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ქართველი ვეტერანი კალათბურთელები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ



საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა ნაკრები ამერიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა.

ქალაქ ორლანდოში მიმდინარე ვეტერანთა ტურნირი მასშტაბურია და როგორც კაცებში, ისე ქალებში კატეგორიების მიხედვით იმართება. ჩვენი ნაკრები 50-წლამდელებში ასპარეზობდა, სადაც 32 მონაწილე 7 ოთხგუნდიან და 1 სამგუნდიან ჯგუფში იყო გადანაწილებული, რომლებიდანაც პლეი ოფში მხოლოდ გამარჯვებულები გადიოდნენ.

ჩვენმა ვეტერანებმა სადებიუტო მატჩში ვენესუელას ნაკრები გაანადგურეს — 90:58. შემდეგ ჩვენი ვეტერანების მორიგი მსხვერპლი ჩილე გახდა — სამხრეთამერიკული ქვეყნის მეორე წარმომადგენელსაც დიდი ანგარიშით, 85:52 მოუგეს.

ჯგუფიდან გამსვლელ გადამწყვეტ მატჩში ქართველები ჩეხეთს შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში წააგეს.

როგორც უკვე გითხარით, გათამაშების ფორმატის თანახმად, მეოთხედფინალში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებულები გადიოდნენ და ამ წაგებით საქართველოს ნაკრებმა პლეი ოფში გასვლა ვერ მოახერხა. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წუთებზე ჩეხების სასარგებლოდ გადაწყდა. ჩეხმა ვეტერანებმა საბოლოოდ 77:74 გაიმარჯვეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

საქართველო 2 მოგებითა და 1 მარცხით მეორე ადგილზე გავიდა და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

# გიორგი ლორიას იჯარა „ლევადიაკოსს“ სურს



ბერძნული მედიის ინფორმაციით, პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ გიორგი ლორიას „ლევადიაკოსში“ გაუშვებს. ბერძნულ გრანდში ლორია მესამე მეკარედ ითვლება რობერტოსა და კაპინოს შემდეგ და სათამაშო პრაქტიკის პერსპექტივა არა აქვს.

მედიის ინფორმაციით, „ლევადიაკოსი“, რომელმაც ჩემპიონატი მარცხით დაიწყო, დღეს-ხვალ ლუკა ფავალის დაიმატებს, შემდეგ კი ქართველი მეკარის ჯერია.

„ლევადიაკოსი“ ელის „ოლიმპიაკოსის“ გადაწყვეტილებას ლორიას ტრანსფერზე. საუბარია იჯარაზე. ყველაფერი შესაძლოა, 26 აგვისტოსთვის გაირკვეს.

# ზესტაფონი კარპატს არ ენდობა

როგორც უკვე ვწერდით, ლოზანის სპორტულ არბიტრაჟში ხანგრძლივი შესწავლისა და განხილვის შემდეგ, გამოიტანა საბოლოო ვერდიქტი და მურთაზ დაუშვილის აღზრდისა და მომზადებისათვის გაწეული ხარჯების საკომპენსაციოდ, ლვოვის საფეხბურთო კლუბ „კარპატის“ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ სასარგებლოდ 180.000 ევროს გადახდა დააკისრა.

უკრაინულმა კლუბმა ლოზანის სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება იჩქარა და ამის შემდეგ საქმეში უკვე ფიფას სადისციპლინო კომიტეტი ჩაერთო, რომელმაც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას გაუგზავნა წერილი.

ამის შემდეგ, საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა“ წერილი ლვოვის „კარპატისაგან“ მიიღო, რომელშიც უკრაინული მხარე, შესაძლო ბანკროტობისა, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა და კიდევ სხვა მრავალი მიზეზის გამო, ითხოვდა დაუშვილის საქმესთან დაკავშრებით მათზე დაკისრებული 180.000 ევროს გადახდის გადავადებას...

ლვოველები ამ თანხის დაფარვის მიზნით მურთაზ დაუშვილის სხვა კლუბში გასხვისებას აპირებენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ ქართული კლუბისთვის თანხის გადახდას.

სერგო ფუტკარაძე, ზესტაფონის პრესსამსახურის უფროსი:

— ეჭვგარეშეა, რომ უკრაინული კლუბი ისევ ვალის გასტუმრებაზე თავის არიდებას ცდილობს. შესაბამისად, „ზესტაფონი“ არ აპირებს ამ წინადადებაზე დათანხმებას და კომპენსაციას დაუშვილის სხვა კლუბში გადასვლამდე არ დაველოდებით.

# ვითამ ბექა წივწივაძე და მერაბ ბოქოლიშვილი გაიფორმა



საკალათბურთო კლუბი „ვითა“ ოქტომბრიდან ვითიბი ლიგის რეგულარულ სეზონს დაიწყებს. ჯერჯერობით, გუნდი დაუკომპლექტებელია, თუმცა უკვე გამოჩნდნენ პირველი მერცხლები.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ბექა წივწივაძე ამ კლუბში ითამაშებს. კალათბურთელთან ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

კლუბის გენერალური მენეჯერის, ლევან მიქელაძის თქმით, წივწივაძე გამოცდილი კალათბურთელია, „ვითაში“ ყველას თავისი როლი ექნება, მათ შორის წივწივაძესაც.

წივწივაძე შარშან შსს-ს ერთ-ერთი ლიდერი და კაპიტანი იყო, სადაც სუპერლიგის ჩემპიონი გახდა. რეგულარულში საშუალოდ 10.2 ქულას, 4.9 პასს და 4.0 მოხსნას აგროვებდა. წივწივაძე საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატებშიც ერია.

„ვითას“ კიდევ ერთი ახალწვეული მერაბ ბოქოლიშვილია — ახალგაზრდა მსროლელი. გასულ სეზონში „მგზავრების“ კაპიტანი და საუკეთესო მოთამაშე იყო. ბოქოლიშვილის შარშანდელი სტატისტიკა — 15.2 ქულა, 3.3 პასი, 3.2 მოხსნა.

**მერაბ ბოქოლიშვილი:**

— „ვითაში“ თამაში ჩემთვის სასიამოვნო მომენტია და ძალიან საპატიო. მინდა, რომ გუნდმა ჩემგან მაქსიმუმი მიიღოს. მადლობა კლუბის ხელმძღვანელებს ნდობისთვის.

**ახლა კი ინტერვიუ ბექა წივწივაძესთან.**

***— „ვითას“ პირველი თამაშები ნანახი გაქვს?***

— კი. საუკეთესო პერიოდის „ვითა“ მახსოვს. მოგვიანებით „ვითაში“ ერთი სეზონი მეც ვითამაშე. ძველ „ვითაში“ მყავდა საყვარელი მოთამაშე — დუდუ დადიანი.

***— „ვითას“ მთავარ მწვრთნელს, პაველ გოოგეს იცნობ?***

— გავიცანი და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ადრე, „ბასკოდან“ მახსოვდა. შევხვდი გოოგეს, დაველაპარაკე და იმდენად კარგი მოტივაცია მომცა, რომ გადავწყვიტე ამ გუნდთან კონტრაქტის გაფორმება. ჩანს, რომ მკაცრი, მომთხოვნი მწვრთნელია.

***— „ვითა“ ვითიბი ლიგაზე ითამაშებს. მზად ხარ ამ დონისთვის?***

— ვითიბი ლიგაზე თამაშობს ევროლიგის რამდენიმე უცვლელი კლუბი რამდენიმე ყოფილი და იქ, თუნდაც ფლეი ოფში შესვლა, ძალიან რთულია. კარგი შემადგენლობით ბევრი რაღაცის გაკეთება შეიძლება. ჩემთვის ეს პირველი ამ დონის ტურნირია და მაქსიმუმს მივცემ გუნდს.

***— რამდენად კარგ ფორმაში ხარ?***

— ერთთვიანი ინტენსიური მომზადება გავიარე ნაკრებში და ვთვლი, რომ საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ.

***— „ვითაში“ გატარებული სეზონიდან რა გახსენდება?***

— ცუდად მახსოვს ეგ პერიოდი. მძიმე ტრავმა მივიღე და რეგულარულის დიდი ნაწილი გამოვტოვე. გვყავდა გამოცდილი კალათბურთელები — გიორგი მარკოიშვილი, ვაკო ბეჟანიშვილი, დათო ბერძენიშვილი, გიორგი მარხვაშვილი. ჩვენი მწვრთნელი იყო დღევანდელი „ვითას“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი მიხეილ კობეშავიძე. კარგი გუნდი იყო, მაგრამ ტრავმების გამო არ გვიმართლებდა, ჯანმრთელები ვერ ვიყავით. ახალგაზრდებიდან იმ გუნდში ვიყავით მე და მიშა ბერიშვილი.

***— შარშანდელი სეზონით კმაყოფილი ხარ?***

— რეგულარულის პირველი ნახევარი კარგი იყო. მერე დაიწყო თვალის ვირუსი, ტრავმები და მაინც, სადაც საჭირო იყო, იქ ვითამაშე. მთავარი იყო, გუნდს მოეგო ფინალი და პირადი თემები არ იყო მთავარი. ვიყავი კაპიტანი და გუნდის საბოლოო წარმატება ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

***— რამდენად უნდა მოუმატო, რომ ვითიბი ლიგაზე დისკომფორტი არ იგრძნო?***

— ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო საკუთარ თავზე. ცსკა-ს დონის გუნდს რომ ხვდები... ქართული სუპერლიგისა და ამ გუნდის შედარება ცოტა უხერხულია. კონკრეტულად სად უნდა მოვუმატო? ყველა კომპონენტში. პირველ რიგში, ამ დონეზე თამაშის გამოცდილება უნდა მივიღო, რომ ეს გამოცდილება მომავალ სეზონში ნაკრებს და, იმედი მაქვს, „ვითას“ მივცე.

***— ვითიბი ლიგაზე შენი ამპლუიდან საუკეთესო კალათბურთელები დაასახელე.***

— ტეოდოშიჩი. ჩემთვის, ტეოდოშიჩის ყველა მინუსის მიუხედავად, ევროპაში თავის პოზიციაზე საუკეთესოა.

***— საყვარელი ფერი.***

— ნაცრისფერი, შავი, თეთრი, ცისფერი.

***— საყვარელი ფილმი.***

— „ნათლიმამას“ სამივე ნაწილი. ყოველთვის რაღაც ახალს ვიღებ ამ ფილმიდან.

***— რას უსმენ?***

— ძირითადად, უფრო ელექტრონულ მუსიკას, რეპსაც.

***— სუპერლიგის თამაშებზე შენი მთელი ოჯახი დადიოდა. ვითიბი ლიგაზეც იგივე იქნება?***

— ჩემი ოჯახი თამაშებს ჩემზე უფრო ელოდება. ყოველთვის დადიოდა და ივლის. განსაკუთრებით, „ვითას“ თამაშებზე. სხვა დონის მოწინააღმდეგეები გვეყოლება. იმედი მაქვს, მხოლოდ ოჯახის წევრებით არ შემოიფარგლება ჩვენი აუდიტორია და სპორტის სასახლე გაივსება.

***— შენი საყვარელი კალათბურთელი.***

— კობი ბრაიანტი.

# საქართველოს თასზე საპასუხო მატჩებია



დღეს საქართველოს თასის განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩებია. წინა შეხვედრების მცირე ნაწილი სენსაციურად დასრულდა — არიან უმაღლესლიგელები, რომლებსაც პირველ მატჩში განცდილი მარცხის გაბათილება მართებთ. ვინ როგორ მოახერხებს, ამას მატჩების დასრულების შემდეგ გავიგებთ.

ჰო, ევროთასების მონაწილენი — გორის „დილა“, ბათუმისა და თბილისის „დინამო“ და „ცხინვალი“ თასისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან დაიწყებენ.

## ლოკომოტივი _ ლიახვი (პირველი მატჩი 0:1)

„ლოკომოტივის“ წინაშე რთული ამოცანაა — „ლიახვი“ სეზონის წინ გვარიანად გაძლიერდა და პირველ მატჩში მისი გამარჯვებაც არ ყოფილა დაუმსახურებელი.

## მეშახტე _ კოლხეთი (ფ) (0:2)

ფოთელებმა შინ იოლად მოიგეს და მერვედფინალისკენ ნაბიჯი გადადგეს. „მეშახტეს“ ამ ჰანდიკაპის შემობრუნება კი ძალუძს, მაგრამ ძალიან რთული იქნება.

## იმერეთი _ ზუგდიდი (1:2)

ამ მატჩში ბრძოლაა მოსალოდნელი. ხონელებმა ზუგდიდშიც იბრძოლეს და ისეთი ანგარიშით წააგეს, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაიტოვეს.

## ჭიათურა _ მერანი (1:0)

ჭიათურლებმა პირველ მატჩში სენსაცია შემოგვთავაზეს და უმაღლესლიგელი გუნდი დაამარცხეს. ამით ზემო იმერლებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს მერვედფინალისკენ. „მერანს“ დიდი ბრძოლა ელის.

## ტორპედო _ ჩხერიმელა (2:1)

ქუთათურებს შემდეგ ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ — მოიგეს სტუმრად, შინ კი გაცილებით იოლი ამოცანა და მატჩი ელით.

## მაჭახელა _ სამტრედია (0:2)

„სამტრედიამ“ შინ კომფორტული ანგარიშით მოიგო. ამასთან, გია ცეცაძის გუნდი ეროვნულ ჩემპიონატშიც კარგად გამოიყურება და შემდეგ ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს.

## რუსთავი _ სიონი (0:0)

სენსაცია „რუსთავმაც“ გამოაცხო, როდესაც ბოლნისში არ წააგო, მაგრამ ამის მიუხედავად ქვემოქართლურ დერბიში ფავორიტად მაინც „სიონი“ რჩება.

## მერცხალი _ ჩიხურა (0:1)

საჩხერლებმა საშინაო მატჩი კი მოიგეს, მაგრამ ოზურგეთში მშვიდად ყოფნის საშუალება არ აქვთ და თავს მოდუნების საშუალება არ უნდა მისცენ. თუმცა, იმერლებს ერთი გატანილი გოლი დააწყნარებთ, მასპინძლები უფრო რთული ამოცანის წინაშე არიან.

## სამეგრელო _ გურია (0:7)

ამ წყვილში ყველაფერი გადაწყვეტილია — გურულებმა შინ ისეთი ანგარიშით იმარჯვეს, „სამეგრელოს“ სასწაულიც ვერ უშველის.

## საპოვნელა _ კოლხეთი (ხ) (2:1)

„საპოვნელამ“ მერვედფინალის გზა ხობში იპოვა — იმერლებმა სტუმრად მოიგეს და რთული სავარაუდოა, რომ ეს შანსი შინ გაანიავონ.

## შუქურა _ ბეთლემი (2:1)

ქობულეთლებიც კომფორტულ სიტუაციაში არიან — სტუმრად მოიგეს და საშინაო მატჩს გაცილებით მშვიდად ხვდებიან.

# შედეგები

**24 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ლივერპული ................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2.ლესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 3.მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 4.ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 5.კრ.პალასი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 6.სუონსი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 7.ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 8.ნორვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 9.არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 10.ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 11.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-6 | 3 |
| 12.უოტფორდი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 13.ბორნმუთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 14.ასტონ ვილა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 15.სტოკი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 16.ტოტენჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 17.ნიუკასლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 18.საუთჰემპტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ეიბარი ......................... 1:3

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბილბაო ბ-ხირონა ...................... 0:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-პადერბორნი ................. 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აკადემიკა-სეტუბალი .................. 0:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ყუბანი ........................... 3:0

რუბინი-ზენიტი ........................... 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-პანათინაიკოსი .... 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-ოსმანლი ................ 1:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ზაგლებიე ...................... 2:2

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ოდენსე ....................... 5:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-ჰელსინბორგი ........ 3:2

სუნდსვალდი-ფალკენბერგი ......... 0:1

დიურგარდენი-ჰამარბი ............... 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიკი-ჰიფკი ................................. 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

[illegible]

☎ 599-90-54-78, 234-02-38



# ახალშობილები წუთში 40-60-ჯერ სუნთქავენ

ბავშვის სასუნთქი ორგანოები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზრდასრული ადამიანის სასუნთქი ორგანოებისაგან.

ბავშვის სასუნთქი ორგანოები მცირე ზომისაა და ერთგვარად დაუსრულებელია. ბავშვის ცხვირი პატარაა, მისი ღრუები განუვითარებელი. ცხვირის სავალები ვიწროა. ქვედა ცხვირის სავალი პირველ თვეებში ან სულ არ არის, ან რუდიმენტულადაა განვითარებული. ლორწოვანი გარსი ნაზია, მდიდარია სისხლძარღვებით. სიცოცხლის პირველ წლებში ლორწოვანქვეშა კავერნული ქსოვილით ღარიბია; 8-9 წლის ასაკში კი უკვე კარგადაა განვითარებული და განსაკუთრებით ბევრია სქესობრივი მომწიფების პერიოდში.

ნორჩი ასაკის ბავშვის ცხვირის დამატებითი ღრუები ძლიერ სუსტადაა განვითარებული ან სულაც არ მოიპოვება. შუბლის სინუსი მხოლოდ მეორე წლის ასაკში ჩნდება. 6 წლის ასაკში აღწევს მუხუდოს მარცვლის ზომას და საბოლოოდ ფორმირდება მხოლოდ 15 წლისათვის. თუმცა ჰაიმორის ღრუ უკვე აქვს ახალშობილს, მაგრამ ის ძალიან პატარაა და 2 წლის ასაკიდან შესამჩნევად დიდდება მოცულობით. 6 წლიდან ცხვირის ღრუ იწყებს სწრაფად ზრდას. ვინაიდან ნორჩი ასაკის ბავშვებს ცხვირის დამატებითი ღრუები სუსტად აქვს განვითარებული, ამიტომ ანთებითი პროცესები ძალიან იშვიათად ვრცელდება ცხვირის ლორწოვანიდან ამ ღრუებზე.

ცხვირ-ცრემლის არხი მოკლეა, მისი გარეთა ხვრელი იმყოფება ქუთუთოს კუთხესთან ახლოს. ეს აადვილებს ინფექციის მოხვედრას ცხვირიდან კონიუქტივის პარკში.ბავშვის ხახა შედარებით ვიწროა და ვერტიკალური მიმართულება აქვს. ხახის პირის გასინჯვისას, ხახის ნუშისებური ჯირკვლები არ ჩანს და მხოლოდ პირველი წლის ბოლოს გამოჩნდება. მომდევნო წლებში, პირიქით, ლიმფოიდური ქსოვილები და ნუშისებრი ჯირკვლები ერთგვარ ჰიპერტროფიას განიცდის და მაქსიმალურ ზომებს 5-10 წლის შუალედში აღწევს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში ნუშისებრი ჯირკვლები უკუგანვითარებას განიცდის და სქესობრივი მომწიფების პერიოდის შემდეგ გადიდებულ ნუშისებურ ჯირკვალს იშვიათად ვხვდებით. ადენოიდების ჭარბი გაზრდა უპირატესად თავს იჩენს ექსუდაციური და ლიმფური დიათეზის მქონე ბავშვებში. მათ ხშირად აღენიშნებათ ცხვირით სუნთქვის მოშლილობა, ცხვირ-ხახის ქრონიკული კატარალური მდგომარეობა, და, აქედან გამომდინარე, ზერელე ძილი.

## ფილტვების წონა ახალშობილებში დაახლოებით 50 გრამს უდრის

ბავშვის ხორხს ნორჩ ასაკში ძაბრის ფორმა აქვს, უფრო გვიან — ცილინდრული. ის მოთავსებულია ცოტა უფრო მაღლა, ვიდრე დიდებში. მისი ქვედა ბოლო ახალშობილებში კისრის მეოთხე მალის დონეზეა, დიდებში — 1-2 მალით ქვევით. სიცოცხლის პირველ წელს და 14-16 წლის ასაკში ხორხის წინა-უკანა და განივი ზომის უფრო სწრაფი ზრდა აღინიშნება. ნორჩი ასაკის ბავშვს ხორხი შედარებით უფრო გრძელი აქვს პროპორციულად, ვიდრე ზრდადასრულებულ ადამიანს.

ბავშვის ხორხის ხრტილი ნაზია, დამყოლი, ხორხსარქველი 12-13 წლამდე შედარებით ვიწროა. ჩვილ ბავშვებში ჩვეულებრივი გასინჯვის დროს უფრო ადვილად ვახერხებთ მის დანახვას. ბავშვის ყია ვიწროა, ნამდვილი მბგერავი იოგები შედარებით უფრო მოკლეა, მათი ზრდა განსაკუთრებით ინტენსიურია სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში და სქესობრივი მომწიფების პერიოდის დამდეგს. ცრუ იოგები და ლორწოვანა ნაზია, მდიდარია სისხლძარღვებით და ლიმფოიდური ქსოვილით.

ვაჟებსა და გოგონებს შორის ხორხის სქესობრივი განსხვავება ვლინდება მხოლოდ 3 წლის შემდეგ, როდესაც კუთხე ფარისებრი ხრტილის ფირფიტებს შორის უფრო მახვილი ხდება. 10 წლის შემდეგ ვაჟებში უკვე გარკვეულადაა გამოვლენილი მამაკაცის ხორხისათვის დამახასიათებელი თვისებები.

ხორხის აღნიშნული ანატომიურ-ჰისტოლოგიური თავისებურებებით აიხსნება სტენოზური მოვლენების ადვილად წარმოშობა ბავშვებში, შედარებით ზომიერი ანთებითი მოვლენების დროსაც კი. ხრინწიანი ხმა, რომელიც პატარა ბავშვებს ხშირად ყვირილის შემდეგ აღენიშნებათ, არა ანთებითი მოვლენების, არამედ ყიის კუნთების დაღლილობისაგან მოდუნების შედეგია.

ახალშობილთა ტრაქეა სიგრძით 4 სანტიმეტრამდეა, 14-15 წლისათვის აღწევს დაახლოებით 7 სმ-ს. ზრდასრული ადამიანისა 12 სმ-ს უდრის. პირველი თვეების განმავლობაში მას ოდნავ ძაბრისებური მოყვანილობა აქვს, უფრო მაღლა ძევს, ვიდრე დიდებში. ახალშობილის ტრაქეის ზედა ბოლო კისრის მეოთხე მალის დონეზეა, ხოლო ზრდადასრულებული ადამიანისა — მეშვიდე მალის დონეზე. ტრაქეის გაყოფა ახალშობილებში შეესაბამება მკერდის მეოთხე-მესამე, 5 წლის ბავშვებში — მეოთხე-მეხუთე, ხოლო 12 წლის ბავშვებში მეხუთე-მეექვსე მალის დონეს. ტრაქეის ზრდა დაახლოებით სხეულის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს. ბავშვების ტრაქეის განივი კვეთი მოგვაგონებს ელიფსს, მომდევნო ასაკში კი — წრეს.

ტრაქეის ლორწოვანა ნაზია, სისხლძარღვებით მდიდარია და ლორწოვანა ჯირკვლების არასაკმარისი სეკრეციის შედეგად შედარებით მშრალია. ტრაქეის კედლის აპკისებრი ნაწილის კუნთოვანი შრე კარგად განვითარებულია სულ პატარა ბავშვებშიც კი. ელასტიური ქსოვილი პატარებში ნაკლებადაა განვითარებული.



ბავშვის ტრაქეა რბილია, ადვილად იზნიქება, ანთებითი პროცესების ზეგავლენით ადვილად ვითარდება სტენოზური მოვლენები. ტრაქეა რამდენადმე მოძრავია და ცალმხრივი დაწოლის (ექსუდატის, სიმსივნის) შედეგად შეიძლება გადაინაცვლოს.

ბრონქები — მარჯვენა ბრონქი თითქოს ტრაქეის გაგრძელებაა, მარცხენა უფრო დიდი კუთხით გამოდის. ამით აიხსნება, რომ უცხო სხეულები ძირითადად ხვდება მარჯვენა ბრონქში. ბრონქები ვიწროა, მათი ხრტილი რბილია, კუნთოვანი და ელასტიური ბოჭკოები სუსტადაა განვითარებული, ლორწოვანი გარსი მდიდარია სისხლძარღვებით, მაგრამ შედარებით მშრალია.

ფილტვების წონა ახალშობილებში დაახლოებით 50 გრამს უდრის, 6 თვის ასაკში ეს წონა ორმაგდება, ერთი წლის ასაკში სამმაგდება და, 12 წლისთვის ათჯერ მეტი ხდება თავდაპირველ წონასთან შედარებით. ზრდასრული ადამიანის ფილტვები ჩვილის ფილტვებზე თითქმის 20-ჯერ მეტს იწონის. როგორც წესი, მარჯვენა ფილტვი უფრო დიდია მარცხენაზე.

## ახალშობილების ფილტვების მოცულობა დაახლოებით 67 კუბ.სმ-ია

ნორჩი ასაკის ბავშვებში ფილტვების ნაპრალები სუსტადაა გამოხატული, ხშირად ფილტვის ზედაპირზე ჩანს ზერელე ღარების სახით; განსაკუთრებით მარჯვენა ფილტვის შუა წილი თითქმის ერთვის ზედა წილს. ინტერსტიციალური შემაერთებელი ქსოვილი ბავშვებში ფაშარია, მდიდარია ლიმფური ძარღვებით და სისხლძარღვებით. ბავშვის ფილტვი ღარიბია ელასტიური ქსოვილით, განსაკუთრებით ალვეოლების ირგვლივ.

ახალშობილების ფილტვების მოცულობა დაახლოებით 67 კუბ.სმ-ია; 15 წლისთვის მათი მოცულობა იზრდება 10-ჯერ, ზრდადასრულებულ ადამიანში — 20-ჯერ. ფილტვების საერთო ზრდა ხდება უპირატესად ფილტვების მოცულობის გადიდების ხარჯზე.

ბავშვის ფილტვების მსუნთქავი ზედაპირი შედარებით მეტია, ვიდრე სრულასაკოვანი ადამიანისა. ალვეოლური ჰაერის კონტაქტური ზედაპირი შედარებით მეტია, ვიდრე სრულასაკოვანი ადამიანისა.

ალვეოლური ჰაერის კონტაქტური ზედაპირი ფილტვების კაპილარების სისხლძარღვოვანი სისტემითურთ ასაკობრივ ზრდასთან შედარებით მცირდება. სისხლის რაოდენობა, რომელიც გადის ფილტვებში დროის გარკვეულ ერთეულში, ბავშვებში უფრო მეტია, ვიდრე დიდებში, რაც ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს აირცვლისათვის.

ჩვილ ბავშვებში ნეკნები თითქმის პერპენდიკულარულ მდგომარეობაშია ხერხემლის მიმართ და გულ-მკერდის ტევადობის გადიდებას იწვევს.

პირველი შესუნთქვა, რასაც თან ახლავს პირველი დაყვირება, შემთხვევათა უმრავლესობაში ახალშობილებში წარმოიშობა მაშინვე, როგორც კი ნაყოფი გაივლის დედის სამშობიარო გზებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი სისხლში ჟანგბადის საკმაო მარაგით იბადება ან ადგილი აქვს სასუნთქი ცენტრის რამდენადმე აგზნებადობას, გადის რამდენიმე წამი, ზოგჯერ წუთიც, ვიდრე თავს იჩენს პირველი სუნთქვა. სუნთქვის ამ ხანმოკლე შეფერხებას ახალშობილის აპნოე ეწოდება.

პირველი ღრმა შესუნთქვის შემდეგ ჯანსაღ ახალშობილს უმყარდება მეტწილად თანაბარზომიერი სუნთქვა. სუნთქვის რითმის არათანაბარზომიერება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება ბავშვის სიცოცხლის პირველი საათების და ზოგჯერ დღეების განმავლობაშიც, ჩვეულებრივ მალე გამოსწორდება ხოლმე.

სუნთქვის მოძრაობის სიხშირე ახალშობილებში დაახლოებით 40-60-ს უდრის წუთში. შემდეგ, ასაკის მიხედვით, სუნთქვა უფრო გაიშვიათებული ხდება და თანდათან უახლოვდება ზრდასრული ადამიანის სუნთქვის რითმს. 8 წლამდე ვაჟებს უფრო ხშირი სუნთქვა აქვს, ვიდრე გოგონებს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში კი ქალებიასწრებენ ვაჟებს და ყველა მომდევნო წლებში მათი სუნთქვა უფრო ხშირი ხდება.

ბავშვებისათვის დამახასიათებელია სუნთქვის ცენტრის ადვილი აგზნებადობა. ფსიქიკური აგზნება, მსუბუქი ფიზიკური დაძაბვა, სხეულისა და გარემოს ტემპერატურის უმნიშვნელო აწევა თითქმის ყოველთვის იწვევს სუნთქვის მნიშვნელოვან გახშირებას და ზოგჯერ სუნთქვის რითმის სისწორის დარღვევასაც.

ფილტვის სასიცოცხლო ტევადობა არის მაქსიმალურად შესუნთქვის შემდეგ მაქსიმალურად ამოსუნთქული ჰაერის რაოდენობა. მისი განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ 5-6 წლის ასაკიდან, ვინაიდან გამოკვლევის მეთოდიკა მოითხოვს ბავშვის აქტიურ მონაწილეობას. ვაჟებში ფილტვის სასიცოცხლო ტევადობა მეტია, ვიდრე ქალებში. ფილტვის უდიდეს ტევადობას ადგილი აქვს თორაკო-აბდომინალური სუნთქვის დროს, უმცირესს — წმინდა მკერდით სუნთქვისას.

სუნთქვის ტიპი ბავშვის ასაკისა და სქესის მიხედვით იცვლება; ახალშობილობის პერიოდის ბავშვებში ჭარბობს დიაფრაგმული ტიპის სუნთქვა და ნეკნების კუნთები თითქმის სრულად არ მონაწილეობს დამატებით აქტში. ძუძუთა ბავშვებში ვლინდება ე.წ. გულმკერდ-მუცლის სუნთქვა, რომლის დროსაც ჭარბობს დიაფრაგმული სუნთქვა; გულ-მკერდის ექსკურსიები სუსტადაა გამოხატული მის ზემო ნაწილებში და, პირიქით, გაცილებით უფრო ძლიერად მის ქვემო ნაწილებში. ბავშვის მუდმივად ჰორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურში გადასვლასთან ერთად იცვლება სუნთქვის ტიპიც; ამ ასაკში (მეორე წლის დასაწყისში) ის ხასიათდება დიაფრაგმული და მკერდული კომბინაციით, ამასთან, ზოგ შემთხვევაში ჭარბობს ერთი მათგანი, ზოგშიც — მეორე. 3-7 წლის ასაკში მხრის სარტყლის კუნთების განვითარებასთან დაკავშირებით სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება მკერდული სუნთქვა, რომელიც აშკარად დიაფრაგმულზე უპირატესი ხდება.

სუნთქვის ტიპის განსხვავება სქესის მიხედვით პირველად თავს იჩენს 7-14 წლის ასაკში; სქესობრივ მომწიფებამდე და სქესობრივი მომწიფების პერიოდებში ვაჟებში თავს იჩენს მუცლის ტიპის, ქალებში კი — მკერდის ტიპის სუნთქვა. სუნთქვის ტიპის ასაკობრივი ცვლილებები წინასწარ განსაზღვრულია ბავშვის გულ-მკერდის ზემოთ აღნიშნული ანატომიური თავისებურებებით სხვადასხვა ასაკში. გულ-მკერდის ტევადობის გადიდება ნეკნების აწევის ხარჯზე ძუძუთა ბავშვებში თითქმის შეუძლებელია ნეკნების ჰორიზონტალური მდებარეობის გამო. ეს შესაძლებელი ხდება უფრო მოგვიანებით ასაკში.

## fcnhjghjuyjpb
### 26 აგვისტოსათვის



**ვერძი** — მშვენიერი დღეა აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის, კომერციული ოპერაციებისათვის. ახალი საქმის დაწყება სასარგებლო იქნება. **კურო** — ეს დღე ინფორმაციის შეგროვებასა და ცოდნის შეძენას დაუთმეთ. თავს სიტუაციის ბატონ-პატრონად გრძნობთ. საღამო მეგობრებთან ერთად, სახლის გარეთ გაატარეთ. **ტყუპები** — მძიმე და დაძაბული დღეა. არასასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. საქმიან პარტნიორთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** — ნერვული დაძაბულობის ფონზე უძილობა შეგაწუხებთ. ასევე მოსალოდნელია ფინანსური ზარალი. **ლომი** — კეთილისმყოფელი დღეა. გელით რომანტიკული თავგადასავლები. არაორდინარული აზროვნების მეოხებით არასტანდარტულ სიტუაციაში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **ქალწული** — კარგი პერიოდია ქორწინებისათვის, ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობისათვის. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **სასწორი** — წინააღმდეგობრივი დღეა. მოულოდნელი ამბის გამო გეგმები გეცვლებათ. დღეს დადებული კონტრაქტი გაამართლებს. **ღრიანკალი** — აუცილებლად უნდა მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ყველა არასაჭირო კავშირი დაუყოვნებლივ გაწყვიტეთ. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია, რაც ოჯახურ ურთიერთობებში პრობლემებს შეგიქმნით. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. **თხის რქა** — შესანიშნავი დღეა ქორწინებისათვის, ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობისათვის. მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **მერწყული** — ეს დღე კარგია ქორწინებისათვის, ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობისათვის. ფულს შოულობთ. **თევზები** — წინა დღის დადებითი ტენდენციები დღესაც შენარჩუნდება. აქტიურობა ძალიან წაგადგებათ. შესაძლოა, ოჯახში ნამატი გქონდეთ.

უბცე3ეტ,ს ,ტცყბტ3 ცქტს=

## h3xucex3cb ,



**შვეულად:** 1. სხვადასხვა ოპერებიდან აღებული მუსიკალური ნაწარმოებისაგან შექმნილი, ძველებური იტალიური ოპერა; 2. ჰოლანდიური ლუდი; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 4. მოჩვენებითი მამაცობა; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი მამაკაცი; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 19. ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი.

**თარაზულად:** 4. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 5. ქართველი მგოსანი; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. თევზის საჭერი მოწყობილობა; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. გურულების, აჭარლების ძველებური ჩოხა; 15. ხარების ორთაბრძოლა; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. ინდური კანაფისგან მიღებული ნარკოტიკი; 22. მსხვილი სამრეწველო-ფინანსური გაერთიანება; 23. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო ან ფესვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**ОБУФ УЖ3ВЗИБ УФ3ЖМДВ.УВ,ЕКБ РЗЖЦДЖЗЛВ,БЦ ГФЦЕ[В,Б5**

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გუდაური; 2. ანტონიმი; 3. პლატონი; 5. მატეზერი; 7. მურილიო; 9. გერიატრია; 13. შამპანი; 15. ჰერეთი; 16. ჰამამი; 18. ზვარე.

**თარაზულად:** 4. ჯურღმული; 6. კონსული; 8. კაპიტოლიუმი; 10. ბაიკერი; 11. რუნი; 12. პირელი; 14. ოჰარა; 17. კრონა; 19. ხვატი; 20. საქართზა; 21. აურა; 22. პილიგრიმი; 23. დესპანი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბაკარდი; 2. ბორისპოლი; 3. ციხეგოჯი; 4. არიფანა; 5. კახასა; 9. მოსადი; 11. კორნეტი; 12. კოდორი; 14. ლეჩხუმი; 18. ანოდი; 19. ზუთხი.

**თარაზულად:** 4. არმანი; 5. კაბოშონი; 6. ნიკეა; 7. ჟინვალი; 8. ბინომი; 10. სეიკო; 13. დელისი; 15. პრესტო; 16. ჯუნო; 17. ქამა; 20. ხახული; 21. მილანი; 22. ბოდრუმი; 23. ხარება.

# გოგი ცაბაძე 91 წლის გახდებოდა



ქართველი მსმენელისთვის ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი კომპოზიტორი გოგი ცაბაძე 91 წლის გახდებოდა. მის შვილს, ასევე კომპოზიტორ კახა ცაბაძეს სურდა, მამის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტი ჩაეტარებინა, თუმცა კულტურის სამინისტრომ ღონისძიების დაფინანსებაზე უარი ოფიციალურად განუცხადა.

გოგი ცაბაძე ქართული ქალაქური საესტრადო სიმღერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიისა და მიუზიკლის ფუძემდებლად არის მიჩნეული. საქართველოს სახალხო არტისტი და თბილისის საპატიო მოქალაქე კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ფილარმონიაში, საქართველოს ტელევიზიაში, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საესტრადო სასწავლებელში, იყო საქართველოს ფილარმონიის საესტრადო მუსიკალური განყოფილების გამგე.

ჯერ კიდევ 1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს ჟამთარში, თბილისის 27-ე სკოლაში სრულიად ახალგაზრდა თენგიზ აბულაძემ დადგა ვალერიან გუნიას პიესა „და-ძმა". სპექტაკლი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, მუსიკალურად გააფორმა ასევე სრულიად ახალგაზრდა გოგი ცაბაძემ.

კომპოზიტორს დიდი პოპულარობა მოუტანა სიმღერებმა „მთაწმინდის მთვარე", „თბილისის მუხამბაზი", „ქუჩა-ქუჩა", „მეფაიტონე", „ჩემო თბილის-ქალაქო", „გოგლაურა". კომპოზიტორის მუსიკალური კომედიები, ოპერეტები და მიუზიკლები ქართულ სამუსიკოს ხელოვნებაში გამორჩეულ ადგილს იკავებს. იგი ამ რთული ჟანრის 20-მდე ნაწარმოების ავტორია. „სიმღერა სიყვარულზე", „ჩვენი ნაცნობები", „ტრფობის ბადეში", „კურკას ქორწილი", „იეთიმ გურჯი", „მეტეხის ჩრდილში", „შესანიშნავი სამეული", „იტალიური რომანი". გოგი ცაბაძე საკუთარ სიმღერებს თვითონ მღეროდა. მისი მუსიკა ჟღერს ფილმებში „ვერის უბნის მელოდიები", „მხიარული რომანი", „მოიტაცეს თამარ ქალი".

გოგი ცაბაძე გორში საიუბილეო კონცერტის დროს 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. კომპოზიტორი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# გიორგი კვირიკაშვილი: ჩვენს ბაზარზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა"





**გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ლარის კურსთან დაკავშირებით განსაკუთრებული არაფერი ხდება. მინისტრი ყველას მოუწოდებს, სიმშვიდე შეინარჩუნოს. ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— ვფიქრობთ, რომ ლართან მიმართებით ის, რაც ჩვენს შიდა ეკონომიკურ სიტუაციას ეხება, ანუ მაკროეკონომიკური პარამეტრების კუთხით, ეკონომიკური გარე შოკის შედეგები არის აბსოლუტურად დაბალანსებული.

დღესდღეობით, მე შემიძლია ვთქვა, რომ აგვისტოს შუა რიცხვების მონაცემებით, იმპორტის შემცირებამ მთლიანად გადააბალანსა ექსპორტის შემცირება და ფულადი გზავნილების კლება. რიცხვებში შემიძლია ვთქვა, 332 მილიონი დოლარის დადებითი მაჩვენებელი არის იმპორტის შემცირებიდან, ანუ 332 მილიონი დოლარით ნაკლები გავიდა ქვეყნიდან ჯამში. თვითონ ფულადი გზავნილების შემცირებას რაც შეეხება, იყო მხოლოდ და მხოლოდ 202 მილიონი დოლარი და ის მთლიანად ამით არის გადაბალანსებული. რაც შეეხება პრივატიზაციას, 110 მილიონ ლარზე მეტია შემოსული პრივატიზაციიდან.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ბაზრის ის მოთამაშეები, ვინც „აჟიოტაჟურ ქცევებში ჩაერთვებიან, ან მიიღებენ სპეკულაციური ტიპის ტრანზაქციებში მონაწილეობას, აუცილებლად წაგებული დარჩებიან".

— გამომდინარე სახელმწიფო საწარმოების ანგარიშზე არსებული სადოლარე ნაშთებიდან, რომელიც თანდათან გამოვა ბაზარზე, ასევე გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნულ ბანკთან ერთად, გავიარეთ ჩვენ ფულის მიმოქცევა უახლოესი დღეების განმავლობაში, ყველანაირი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ის, რაც 24 აგვისტოს ხდებოდა ბაზარზე, არის მხოლოდ და მხოლოდ აჟიოტაჟური ქცევის შედეგი. არანაირი კავშირი ამას არ აქვს, ჯერჯერობით ყოველ შემთხვევაში, იმ საგარეო მოვლენებთან, რაც გუშინ მოხდა.

კონკრეტულად, საუბარი მაქვს ჩინეთის საფონდო ბაზრის დაცემაზე. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მაქსიმალურად უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე, არაფერი განსაკუთრებული გუშინ ჩვენს ბაზარზე არ მომხდარა. მაკროეკონომიკური პარამეტრები ამ ეტაპზე არის ჯანსაღი და ვფიქრობთ, რომ მაქსიმალურად კოორდინირებული მუშაობის შედეგად, სიტუაცია გამოსწორებას ძალიან მარტივად ექვემდებარება, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# მანანა გეგეჭკორი გარდაიცვალა



თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორი გარდაიცვალა. ინფორმაციას ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი სოციალურ ქსელში ავრცელებს:

— ჩვენი თეატრი კიდევ ერთი შესანიშნავი ადამიანის გარეშე დარჩა. გარდაიცვალა თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე, შესანიშნავი თეატრმცოდნე და საოცრად გულისხმიერი პიროვნება, ქალბატონი მანანა გეგეჭკორი.

ძნელია, შეეგუო იმ აზრს, რომ ის აღარ არის. მიუხედავად უმძიმესი დაავადებისა, მისი სიცოცხლისუნარიანობის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, არც გვინდოდა დაგვეშვა, რომ ეს უბედურება ასე გვიახლოვდებოდა.

საოცრად ნაყოფიერი წელიწადი იყო მანანასთვის. მან შექმნა ძმები გრიმების ზღაპრების მოტივებზე პიესა „პრინცესა, ბაყაყი, ჰენზელი და გრეტელი", შემდეგ „ბაში-აჩუკის" ინსცენირება და ბოლოს — „მაუგლის" ინსცენირება. „ბაში-აჩუკის" პრემიერის შემდეგ ვგეგმავდით, თეატრში აღგვენიშნა მისი 60 წლისთავი, თუმცა არ დაგვცალდა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა დაკარგა დიდი პროფესიონალი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ღირსეული მშობლების ღირსეული შვილი.

# ლიზა ბათიაშვილი ბათუმში დაუკრავს



მსოფლიოში აღიარებული ცნობილი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ საქართველოში კიდევ ერთი კონცერტით ბრუნდება. 26 აგვისტოს ქართველი მევიოლინე, რომელიც წლის საუკეთესო ინსტრუმენტალისტად არის აღიარებული, კონცერტს ბათუმში გამართავს.

ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში ნიჭიერი მუსიკოსებისგან დაკომპლექტებული ორკესტრის კონცერტი გაიმართება. ორკესტრი მსმენელის წინაშე სპეციალური პროგრამით წარდგება. მუსიკოსებთან ერთად შეკრებილი საზოგადოებისთვის ცნობილი ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილიც დაუკრავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის კახი დემეტრაშვილის დედის

**თინათინ დემეტრაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7**
**რდბპბც უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

# ხაიში-ჭუბერის გზა ადგილობრივებს ამ დრომდე გადაკეტილი აქვთ

ხაიში-ჭუბერის გზა ამ დრომდე გადაკეტილია. ადგილობრივი მოსახლეობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელ კაპიტონ ჟორჟოლიანთან შეხვედრას ითხოვს.

როგორც „მედიანიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ადგილზე წესრიგს საპატრულო ეკიპაჟები იცავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, აქციის მონაწილეებს მოთხოვნები აქვთ ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებით.

გზის გადაკეტვის შედეგად ადგილზე საცობი წარმოიქმნა, საცობში მოყოლილი ადამიანების უმეტესობა ტურისტია.

მედიანიუსი

# რუსეთის მოქალაქე არადეკლარირებული ოქროს ნივთების შემოტანისთვის დაჯარიმდა



საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სადახლო-საავტომობილოს" ტერიტორიაზე შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ოქროს ნივთების შემოტანისთვის სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან შემოსული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ს.ა. დააჯარიმეს.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, პროფილის საფუძველზე დათვალიერების შედეგად მგზავრის კუთვნილ ხელბარგში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს.

კერძოდ კი, მგზავრს 1355,6 აშშ დოლარის (3163,42 ლარი) ღირებულების ოქროსა და ვერცხლის სამკაულები შემოჰქონდა.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, პირს სანქციის სახით 3163,42 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

# გერმანელი სტუდენტი მატარებელში ცხოვრებას აპირებს



გერმანელმა სტუდენტმა გოგონამ ლეონი მილერმა გადაწყვიტა, ბინის დაქირავების მაგივრად, მატარებელში იცხოვროს.

2015 წლის გაზაფხულზე მილერმა აბონემენტი შეიძინა, რომელიც მას უფლებას აძლევს, ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერი მატარებლით იმგზავროს. თვეში ის ამ სახით დაახლოებით 70 დოლარის ეკონომიას შეძლებს. მატარებლებით სამგზავრო აბონემენტი 380 დოლარი ჯდება, მაშინ როდესაც ბინის დასაქირავებლად მინიმუმ 450 დოლარია საჭირო.

თუმცა მხოლოდ ეკონომია არ არის ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი. გოგონამ განმარტა, რომ სურს, ხალხს დაანახოს, რომ „იმაზე მეტი შესაძლებლობა არსებობს, ვიდრე ჩვენ გვგონია". მილერმა აღნიშნა, რომ ეს გამოცდილება მას აკადემიური თვალსაზრისითაც დაეხმარება, ვინაიდან სურს, ის სადიპლომო ნაშრომი სწორედ ამ ექსპერიმენტზე დაწეროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# დამკრძალავი ბიუროდან ცხედარი მოიპარეს



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში დამკრძალავი ბიუროდან 25 წლის ქალის ცხედარი მოიპარეს. ინფორმაციისთვის, რომელიც ცხედრის მიგნებაში დაეხმარება, ჯილდოს სახით 20 ათასი დოლარია დაწესებული.

ჯული მოტი 8 აგვისტოს გარდაიცვალა თანდაყოლილი დაავადებისგან. გარდაცვლილის ნათესავებმა გადაწყვიტეს, რომ მიცვალებულის მოსახსენიებელი მსახურება 15 აგვისტოს ჩაეტარებინათ, იმ დღეს გოგონა 26 წლის უნდა გამხდარიყო. ეკლესიაში პანაშვიდის დასრულების შემდეგ კუბოში ჩასვენებული ცხედარი დამკრძალავ ბიუროში იქნა გადატანილი, სადაც მეორე დღისთვის კრემაცია იყო დანიშნული.

მეორე დღეს სამსახურში მისულ ბიუროს თანამშრომლებს კუბო გახსნილი დახვდათ, ხოლო მოტის ცხედარი — გამქრალი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შენობის გატეხის კვალი აღმოჩენილი არ არის.

პოლიცია აღნიშნული შემთხვევის გამოძიებას აწარმოებს. ერთ-ერთი ვერსიით, ცხედარი, შესაძლოა, კრემაციის პროცედურის მოწინააღმდეგეებმა გაიტაცეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 26 აგვისტო**

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00 ძიუ-დო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. (პ/ტრ ასტანადან) **13.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00 ძიუ-დო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. **16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **17.30** ტ/სერ. "**უკანასკნელი საზღვარი**" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **21.30** ქართ. ტ/ფ "**წკიპურტები**" **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის მეორე რაუნდი **00.30** მხ/ფ "**კარი იატაკში**" (კ.ბესინჯერი) **02.20** დ/ფ "ქალაქები"

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10, 19.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **11.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **12.00** მხ/ფ "**ლამაზი ანტონიო**" **3-4** სერ. **14.00** დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" **16.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **18.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.20** ქართული დოკუმენტალისტიკა – უცხო **22.00** "ნამდვილი დრო" **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა"

**07.30** სერ. "**მერლინი**" **08.30** სერ. "**კარმა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბოშა ქალი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00,** ქრონიკა **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **8** სერ. **13.00** სტუმრად იუმორინასთან **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**გზაჯვარედინი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**ქუმონგი**" **3** სერ. **23.30** კართაგენი უნდა დაინგრეს! (მერაბ კოსტავა - ცხოვრება და მოღვაწეობა) **2** ნაწ. **00.30** ერთხელ საქართველოში **01.00** მხ/ფ "**წითელი ნათება**" (ს.უივერი) **03.10** მხ/ფ "**ბედს ვერ გაექცევი**" (ვ.ჰარილსონი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ქ.მხ/ფ "**3|3**" პრემიერა **23.30** სერ. "**გრიმი**" **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები "თემო ჯაფარიძე" **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.10** თვენი **07.30** ჩვენი საგანძური "ლარგვისის ოთხთავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ. ფილმი "კეროტის თავგადასავალი" **15** სერია **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება "ქრისტიანული გამოსახულებები ნუმიზმატიკაში" **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.35** დოკ.ფილმი **12.10** ღია აუდიტორია-ნესტან სულავა-ხანცდელი **13.00** ისტორიის გაკვეთილი "ფერეიდანი" **13.30** დოკ. ფ. "ველური ბუნება" გრძელცხვირა მაიმუნის საიდუმლო სამყარო II **14.00** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **14.30** ქრისტიანული სწავლება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.30** დოკ.ფ. "ქართული კერამიკა" **16.50** კვირიაკე **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** მულტ. ფილმი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია "აფხაზეთის საკათალიკოსო" **21.35** ეპოქის სახელები "ზვიად გამსახურდია" **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი "ჩოფიკაშვილი "ადგილი, სადაც ყველანი ერთამანეთს ვხვდებით..." **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ნემსაძეები" **23.35** დოკ. ფ. **00.30** დოკ. ფ.

მაესტრო **7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **8.30 სერიალი "კარმა"** **10.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.30 სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.35 სერიალი "დაკარგული დრო** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00 სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "ბელადის ვაჟი"** **23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **0.30 სერიალი "კარმა"** **2.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

გპჯუპფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯპფდპბც4 ყტ,ფპსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


26 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.364 | ევრო — 2.7162 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7162 | 100 რუსული რუბლი — 3.341 |

## ამინდის პროგნოზი 26 აგვისტოსათვის






კალეიდოსკოპი

## მელ გიბსონი ჟურნალისტის შეურაცხყოფას უარყოფს



ავსტრალიელმა ჟურნალისტმა კრისტი მილერმა ჰოლივუდელ მსახიობსა და რეჟისორ მელ გიბსონს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება დასდო ბრალად. რეპორტიორის თქმით, 59 წლის გიბსონმა ხელი ჰკრა, სახეში შეაფურთხა და ძაღლი უწოდა მას შემდეგ, როდესაც რეპორტიორი შეეცადა, სურათი გადაეღო მისთვის და მისი ახალი მეგობარი გოგონასთვის, 24 წლის როზალინდ როსისთვის. მსახიობის წარმომადგენელმა ამ ისტორიას შეთითხნილი უწოდა.

მილერის თქმით, ინციდენტი ფილმის პრემიერის დროს მოხდა, რომელიც ებრაული კინოს ფესტივალის ფარგლებში შედგა ავსტრალიის ქალაქ პადინგტონში. ის გიბსონსა და როსის მიუახლოვდა, წყვილს სურათი გადაუღო და წასასვლელად შეტრიალდა, მაგრამ ამ დროს მსახიობმა მაგრად უბიძგა. როდესაც ჟურნალისტი მიტრიალდა, „ოსკაროსანმა“ მსახიობმა მას სახეში შეაფურთხა და ძაღლად მოიხსენია.

— სინამდვილეში ფოტოგრაფი გიბსონსა და მის მეგობარს კუდში დასდევდა, მოსვენებას არ აძლევდა. მათ რამდენჯერმე სთხოვეს, რომ მათთვის თავი დაენებებინათ, მაგრამ მათ შორის არანაირი ფიზიკური კონტაქტი არ ყოფილა, — განაცხადა გიბსონის წარმომადგენელმა პრესისთვის გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ქალაქ პადინგტონის პოლიციამ დაადასტურა, რომ მომხდარის გამოძიებითაა დაკავებული.




## ჯენიფერ ლოურენსი დიორის რეკლამაში გადაიღეს

ამერიკელმა მსახიობმა მონაწილეობა მიიღო დიორის პომადების ახალი კოლექციის რეკლამის გადაღებაში. პირველი კადრები და ტიზერი ინსტაგრამში მოდის სახლის გვერდზეა წარმოდგენილი.

ვიდეოს სრული ვერსია ლოურენსის მონაწილეობით 31 აგვისტოს იქნება წარმოდგენილი, როდესაც ახალი კოლექციის გაყიდვები დაიწყება. კოლექციაში სულ 44 ახალი ფერია შესული.

დიორთან სამწლიანი კონტრაქტი მსახიობმა 2014 წლის დასაწყისში გააფორმა, რომლის თანახმადაც, მსახიობი 15 მილიონ დოლარს მიიღებს. გაზაფხული-ზაფხულის სეზონში ლოურენსმა ბე დიორის ახალი მოდელის ჩანთა წარმოადგინა.

## ტაჯიკი იუბილარი ტორტის გამო დააჯარიმეს



დუშანბეს სასამართლომ 25 წლის მოქალაქე ამირ ისაევს ჯარიმის სახით 4 ათასი სომონის (დაახლოებით 633 დოლარი) გადახდა დააკისრა იმის გამო, რომ ის კაფეში საკუთარ დაბადების დღეზე მეგობრებს ტორტით გაუმასპინძლდა.

უმუშევარი ისაევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე პროკურატურამ იმ ფოტოსურათის საფუძველზე აღძრა, რომელიც ახალგაზრდამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. მასზე ასახულია თავად იუბილარი, მისი მეგობრები და ტორტი.

სასამართლომ ჩათვალა, რომ იუბილარმა რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლი დაარღვია, რომელიც დღესასწაულის აღნიშვნას ეხება. მასში ნათქვამია, რომ „დაბადების დღე აღინიშნება საკუთარი სურვილის თანახმად მხოლოდ ოჯახურ გარემოში“.

ისაევი ამტკიცებდა, რომ ზეიმი არ ყოფილა.

— არ ყოფილა საჩუქრები, სადღეგრძელოები. ტორტზეც კი არ ყოფილა რაიმე წარწერა და არც სანთლები. 13 ადამიანი ესწრებოდა შეკრებას და ის სულ 540 სომონი დაჯდა, — განაცხადა მან სასამართლოზე და იქვე აღნიშნა, რომ ყველამ თავად გადაიხადა იმის საფასური, რაც თავადვე შეუკვეთეს.

მოწმეებმა ისაევის მონაყოლის ნამდვილობა დაადასტურეს, მაგრამ სასამართლომ ეს ფაქტი მხედველობაში არ მიიღო. ახლა უიღბლო იუბილარს აპელაციის იმედი აქვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სტრაჩანმა საქართველო-გერმანიისთვის 26 ფეხბურთელი გამოიძახა

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები 4 სექტემბერს შოტლანდიის ნაკრებს უმასპინძლებს, ხოლო 7 სექტემბერს ირლანდიაში ელის მატჩი.

შოტლანდიელთა თავკაცმა, გორდონ სტრაჩანმაც დაასახელა რჩეულები, რომლებიც ჯერ ქართველებთან მატჩისთვის მოემზადებიან, შემდეგ კი, 7 სექტემბერს, შოტლანდიელები გერმანელებს უმასპინძლებენ გლაზოს „ჰემპდენ პარკზე“.

სტრაჩანს კარგი ნაკრები ჰყავს. ამის დასტურია გერმანიაში მინიმალური სხვაობით წაგება (1:2), ირლანდიას ოთხი ქულა აართვეს (1:0, 1:1) და პოლონეთშიც ფრეს (2:2) მიაღწიეს. ცხადია, მოუგეს საქართველოსაც — 1:0 და შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზე არიან.



სტრაჩანის 26-კაციან სიაში მცირე ცვლილებებია. ნაკრებში პირველადაა გამოძახებული 23 წლის სტიუარტ არმსტრონგი, რომელიც ამ ზაფხულს „დანდი იუნაიტედიდან“ „სელტიკში“ გადავიდა. ტრავმა აწუხებს ორ ნახევარმცველს: ბარი ბანანსა (კრისტალ პალასი) და ჩარლი ადამს (სტოკი).

### გაფართოებული სია ასეთია:

**მეკარეები:** კრეიგ გორდონი (სელტიკი), დევიდ მარშალი (კარდიფი), ალან მაკგრეგორი (ჰალი);

**მცველები:** კრისტოფ ბერა (იფსვიჩი), კრეიგ ფორსაითი (დერბი), გორდონ გრიერი (ბრაიტონი), გრანტ ჰანლი (ბლექბერნი), ალან ჰატონი (ასტონ ვილა), სტივენ ვაითეკერი, რასელ მარტინი (ორივე — ნორვიჩი), ჩარლი მალგრიუ (სელტიკი), ენდრიუ რობერტსონი (ჰალი);

**ნახევარმცველები:** სკოტ ბრაუნი, სტიუარტ არმსტრონგი, ჯეიმს ფორესტი (სამივე — სელტიკი), იკეჩი ანია (უოტფორდი), ჯეიმს მორისონი, დარენ ფლეტჩერი (ორივე — ვესტ ბრომვიჩი), შონ მელონი (ჩიკაგო ფაირი, აშშ), ჯეიმს მაკარტური (კრისტალ პალასი), მეტ რიჩი (ბორნმუთი), ჯონი რასელი (დერბი);

**თავდამსხმელები:** სტივენ ფლეტჩერი (სანდერლენდი), ლეი გრიფიტსი (სელტიკი), კრის მარტინი (დერბი), სტივენ ნეისმითი (ევერტონი).

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## თამარ გვერდწითელის ფესტივალმა ანშლაგით ჩაიარა



რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერლის თამარ გვერდწითელის მიერ ბათუმში დაარსებულმა ფესტივალმა „მუსიკა საზღვრებს გარეშე“ ანშლაგით ჩაიარა. ორდღიანი ფესტივალის კონცერტებზე შესრულდა როგორც ქართული, ასევე უცხოური რეპერტუარი. პირველი კონცერტი ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში ჩატარდა, მეორე კი — ბათუმის პიაცაზე.

კონცერტებში თამარ გვერდწითელთან ერთად მონაწილეობდნენ ნოდიკო ტატიშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი, მაესტრო ჯანლუკა მარჩანო, „შვიდკაცა“, ტენორი ალესანდრო საფინა, იტალიელი აკორდეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარჩი და ბენდი. კონცერტების რეჟისურაზე ზაზა ორაშვილმა იზრუნა, დეკორაციასა და მხატვრულ მხარეზე კი — ვანო ჭელიძემ და მიხეილ ივანიშვილმა.

თამარ გვერდწითელმა ფესტივალი ქველმოქმედებას მიუძღვნა და შემოსული თანხა 13 ივნისს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა დასახმარებლად გადარიცხა.

## გიორგი ვარდოსანიძე ამღერდა



მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე ამღერდა. მან თავისი პირველი სიმღერა დათო კენჭიაშვილის სტუდიაში ჩაწერა. „ლანდებს“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც ტერენტი გრანელის ლექსზეა შექმნილი.

სიმღერაზე ვიდეორგოლი გოგიტა ჩიკვაიძემ გადაიღო, რომელიც იუთუბზეც აიტვირთა და მას 37 ათასზე მეტი ნახვა აქვს. სიმღერის დასასრულს ვიდეორგოლს წარწერა აქვს „ეძღვნება ცუცის“, რამაც საზოგადოებაში გააჩინა ეჭვი, რომ გიორგი ვარდოსანიძე სიმღერას სალომე ჭაჭუას უძღვნის და მასთან შერიგებას ასე ცდილობს.

მსახიობის თქმით, ამ სიმღერის ჩაწერა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგიმ მომღერლობა დაიწყო, თუმცა დადებითი კომენტარები მას ძალიან ახარებს. ვიდეორგოლის ბოლოს არსებულ წარწერას „ეძღვნება ცუცის“ კი მსახიობი საიდუმლოდ ტოვებს, რადგან მას მიაჩნია, რომ მიმხვედრი ყველაფერს ისედაც მიხვდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი



სპორტული ჰოროსკოპი:

„დღეს საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს პოზიტიური დღე აქვს. ის არ თამაშობს“.

•••

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს და ეუბნება:

— როგორ შეგიძლია ასე წყნარად და მშვიდად ძილი, როდესაც ასეთი დაბალი ხელფასი გაქვს?

•••

კაცი დილით სახაშეში შევა და ოფიციანტს ეკითხება:

— ხაში რა ღირს?

— 5 ლარი.

— რა ამბავია, მესის ფეხებია?!

•••

გამომძიებელი ეჭვმიტანილს ეკითხება:

— ეს დანა გეცნობათ?

— დიახ, ბატონო გამომძიებელო.

— ე.ი. დანაშაულს აღიარებთ?

— არა, რას ვაღიარებ, უბრალოდ, უკვე სამი კვირაა, მაგ დანას მაჩვენებთ და ვცნობ.

•••

კაცთან მიქელ-გაბრიელი მივიდა. კაცმა რომ დაინახა, შეტრიალდა და ზურგი შეაქცია. შემოუარა მიქელ-გაბრიელმა და ისევ წინ დაუდგა. კაცმა ისევ ზურგი შეაქცია. მიქელ-გაბრიელმა ისევ შემოუარა, წინ დაუდგა და ეუბნება:

— ბიჭო, მინდა, კაცურად წაგიყვანო, თორემ სულს უკნიდანაც ამოგაძრობ!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

— მოდი, საწოლზე ვიხტუნაოთ, მეზობლებს ეგონებათ, რომ მაგარი სექსი გვაქვს.

— კარგი, — უპასუხა ცოლმა, — ოღონდ ხვალ დილით თეფშებზე დანა-ჩანგალი ვაწკარუნოთ, მეზობლებს რომ ეგონოთ, ვითომ ვსაუზმობთ.

•••

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეუბნება:

— თუ შეიძლება, მომიტანეთ...

— უკაცრავად, — აწყვეტინებს ოფიციანტი, — ჩვენ მხოლოდ კატლეტი და პიურე გვაქვს.

— კი მაგრამ, აქ მენიუში არაჩვეულებრივი კერძების ჩამონათვალი გაქვთ!

— ეგ მადის აღსაძვრელადაა...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ქალო, ერთი წუთით მაინც გაჩუმდი, გავიგო, მანქანა დაიქოქა თუ არა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სახელმწიფო აზიაში; 2. საბილიარდოს თანამშრომელი; 3. ციური სხეული; 5. ტყვედ წაყვანილი ქართველებისაგან შემდგარი პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ოსმალეთში; 7. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. კანონებში არსებული წინააღმდეგობა, შეუსაბამობა; 13. პოპულარული სიცილიური სადესერტო ღვინო; 15. კროსვორდის გამომგონებელი; 16. კუთხე საქართველოში; 18. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 4. ყველაზე წვრილი ფული ინგლისში; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 8. დანიის დედაქალაქი; 10. სამხედრო-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 11. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 12. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 14. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი, მდინარეზე, ხეობაზე; 17. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 19. პურეული მცენარე; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 22. გეოდეზიური ხელსაწყო; 23. სამართალდამცავი ადმინისტრაციული ორგანო საბჭოთა კავშირში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

